ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 26 მაისი, №10 (6423)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ ძვირფასო თანამემამულენო!

დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს.

1917 წლის რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა. საქართველოში ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც, ფაქტობრივად, ქვეყანას მართავდა. ეროვნული საბჭოს დადგენილებით 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყნის ანექსირება მოახდინა. ხელისუფლება იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო. ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დამყარდა. საქართველო იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირში. დამოუკიდებლობაწართმეული ქვეყანა 70 წელი ელოდა თავისუფლების ხელმეორედ მოპოვებას.

დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს თბილისში ეწყობა მშვიდობიანი აქციები. საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის მოთხოვნით 1989 წლის აპრილში თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციები ეწყობოდა. მშვიდობიანი მიტინგი 9 აპრილს, გამთენიისას სასტიკად დაარბია საბჭოთა არმიამ, რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა. ტრაგედიის მიუხედავად, ბრძოლა ქვეყნისთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მოსაპოვებლად მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი. საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. ამავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი საბჭოს პირველ სესიაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი შევიდა ძალაში. ხოლო 26 მაისს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები და ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1991 წლიდან მოყოლებული 26 მაისს ქვეყნის მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

სოფლის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამით ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში უამრავი პრობლემა მოგვარდება

მერვე წელია, რაც ქვეყნის მასშტაბით წარმატებით ხორციელდება სოფლის განვითარებისა და ხელშეწობის პროგრამა, რომლის მეშვეობით აქტუალური პრობლემების მოგვარება ხდება. მიმდინარე წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილმა თანხამ 567380 ლარი შეადგინა, რომელიც მოხმარდება სოფლებში სასმელი წყლების სისტემების რეაბილიტაციას, შიდა გზების მოხრეშვას, ქუჩებში ღამის განათების და სანიაღვრე არხების მოწყობას, სპორტული მოედნების მშენებლობას და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების კაპიტალურ შეკეთებას.

საგულისხმოა, რომ მოსახლეობის პროგრამაში აქტიურად ჩართვის და მათი აზრის გათვალისწინების მიზნით ეწყობოდა მათთან შეხვედრები, სადაც გამოიკვეთა პირველ რიგში გადასაწყვეტი პრობლემები. ამ მიზნით წლის დასაწყისში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი, საკრებულოს დეპუტატები, გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობის გარკვევის მიზნით ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელს ილია მზექალაშვილს ვესტუმრე და ვთხოვე რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.

— ბატონო ილია, ვიცით, რომ წლის დასაწყისიდანვე აქტიური მუშაობა გასწიეთ, რათა მუნიციპალიტეტის სოფლებში გამოკვეთილიყო ის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობას ანუხებს, კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?

— გამგეობამ, საკრებულომ და ჩვენმა სამსახურებმა ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ოპერატიულად წაგვემართა მოსახლეობასთან შეხვედრები და მათი აზრის გათვალისწინებით დაგვედგინა იმ პრობლემების ნუსხა, რომლებიც სოფლის მოსახლეობას მიაჩნდა პრიორიტეტულად და მათი გადაწყვეტისათვის უნდა გვემუშავა შემდგომში. ასევე ოპერატიულად მოვახდინეთ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შეგდენა და ამ დღეებში მათზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები. დღეისათვის აქტიურად მიდის მუშაობა ხელშეკრულებათა მომზადებისათვის, გამარჯვებულ კომპანიებთან დროულად გაფორმდება დოკუმენტები და ვიზრუნებთ, რათა განსაზღვრულ ვადებში მოხდეს სამუშაოების დამთავრება. დღემდე გაწეული მუშაობით, რასაკვირველია კმაყოფილი ვართ.

— მიზანშეწონილი იქნება თითოეული სოფლის მიხედვით მოსახლეობას გავაცნოთ მიმდინარე წელს ამ პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოები და გამოყოფილი თანხების მოცულობა.

— კი ბატონო, სოფლის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამით ყვარლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განხორციელდება პროექტები:

სოფელ ახალსოფელში

1. სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა — 78496 ლარი;
2. სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია — 12000 ლარი;
3. გარე განათების მოწყობა — 11000 ლარი;
4. გადასავლელი ბოგირის მოწყობა — 2511 ლარი.

სოფელ თხილისწყაროში

1. მისასვლელი გზის რეაბილიტაცია — 5763 ლარი.

სოფელ სარუსოში

1. უბნების შემაერთებელი გზის მოწყობა — 6007 ლარი;
2. სასაფლაოს შემოღობვა — 10 000 ლარი

სოფელ საცხენეში

1. სოფელთან მისასვლელი ხიდის რეაბილიტაცია — 4441 ლარი;

სოფელ ბალღოჯიანში

1. მისასვლელი გზის რეაბილიტაცია — 42760 ლარი;

სოფელ გავაზში

1. სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობა — 4 000 ლარი;
2. საბავშვო ბაღის შენობის რემონტი — 12 368 ლარი;
3. სასმელი წყლის რეზერვუარის და სადაწნევო კოშკის მოწყობა — 35 000 ლარი;
4. გარე განათების მოწყობა — 2 000 ლარი;

სოფელ გრემში

1. სასმელი წყლის რეზერვუარის და სადაწნევო კოშკის მოწყობა — 15975 ლარი;
2. სოფლის შესასვლელში თაღის მოწყობა — 9 000 ლარი.

სოფელი გრძელჭალა

1. სასმელი წყლის ქსელისათვის მილების შეძენა — 1000 ლარი;
2. გადასასვლელი ბოგირის რეაბილიტაცია — 3596 ლარი.

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

„კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილადა“

მალე ორი წელი გახდება მას შემდეგ, რაც ყვარელმა და საქართველომ ტრაგიკული შემთხვევის გამო, საამაყო და საყვარელი, ქვეყნისათვის საჭირო და ერთგული შვილი — საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი გიორგი (გია) იმერლიშვილი დაკარგა. როდესაც გიორგის ასეთ წარმოუდგენელ და გულსაკლავ ბედისწერაზე ვფიქრობთ, იგი ახლა, ამ ორი წლის შემდეგ, თითქოს ორ განზომილებაში წარმოგვიდგება. ერთია მისი უეცარი წასვლით გამოწვეული სულისშემძვრელი სიმძაფრე და მწუხარება, რომელსაც დღემდე ვერას ახერხებს ადამიანთა მოდგმა და მეორე — უფლისგან ნაბოძები დიდი ნუგეში სულის უკვდავებისა და ამქვეყნად დარჩენილი შეუბღალავი, უმწიკვლო სახელისა, მეტადრე მაშინ, როდესაც ამ სახელს ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი სამაგალითო ვაჟკაცი ტოვებს. ეს სახელი არის საამაყო მამის ნათელი, რომელმაც უნდა გაასხივოს და გაადვილოს შვილების-ირინასა და დემეტრეს გზა სავალი, რომელიც წელს დემეტრესათვის სასწავლებლის — ფრანგულ-ქართული სკოლის ზღურბლიდან დაიწყო,უეჭველია , მამის ნათელი წარმატებით გადაალახვინებს შვილებს სამომავლოდ ამჯერად კარგად შეუცნობელი ცხოვრების აღმართზე ასასვლელ სირთულეებს.

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

მევენახეთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო (ჭარბი ნალექი), რაც ოპტიმალურ პირობებს ქმნის სოკოვანი დაავადებების გავრცელებისათვის, ყვარლის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დაფიქსიდა სოკოვანი დაავადებების, განსაკუთრებით ჭრაქის გავრცელების კერები.

ჭრაქით ავადდება მუნიციპალიტეტში გავრცელებული თითქმის ყველა კულტურა, განსაკუთრებით ვენახი. ჭრაქი აზიანებს მცენარის ფოთლებს, ყლორტებს, ყვავილებს, ნაყოფს.

არახელსაყრელი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ჭრაქის საწინააღმდეგო ქიმიური ღონისძიებების ჩატარება (წამლობები) ძლიერი სისტემურ-კონტაქტური მოქმედების ფუნგიციდებით. აუცილებელია შხამქიმიკატები შევიძინოთ ლიცენზირებულ მაღაზიებში, დავიცვათ შხამქიმიკატების ეტიკეტზე მითითებული ხარჯვის ნორმები და მოვახდინოთ წამლობის პერიოდში პრეპარატების მონაცვლეობა. შესხურება უნდა განხორციელდეს 0,1-იანი ბუნიკებით, რათა არ მოხდეს მცენარიდან შხამქიმიკატების ჩამორეცხვა. რეკომენდირებულია წამლობები ჩატარდეს კომბინირებული ნაზავით ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ.

წამლობისას უნდა იქნას დაცული უსაფრთხოების ზომები.

ყვარლის მუნიციპალიტეტის
საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური

26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ცოტა რამ ისტორიიდან

ერეკლე მეორის მცდელობა, საქართველოთი დაეინტერესებინა დასავლეთი, უშედეგო აღმოჩნდა. ამის გამო, იგი იძულებული გახდა მზერა რუსეთისკენ მიემართა. 1783 ნლის 24 ივლისს ერეკლე მეორემ და ეკატერინე დიდმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობისა და პროტექტორატის ტრაქტატს, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქატატი“ ეწოდა. ტრაქტატის თანახმად, ქართველი მეფეები ცნობდნენ რუსეთის იმპერიის ძალაუფლებას, მაგრამ რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში.

რუსეთმა ოფიციალურად დადებული პირობა არ შეასრულა. ეკატერინე დიდი 1796 წელს დესპოტმა იმპერატორმა პავლე პირველმა შეცვალა; 2 ნლის შემდეგ, ერეკლე მეორე მისმა უმოქმედო მემკვიდრემ, საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი მეთორმეტემ (1798-1800) შეცვალა, რომლის გარდაცვალების შემდეგაც, 1800 ნლის 28 დეკემბერს, მის შვილებსა და ძმებს შორის ტახტისთვის ბრძოლა გაიმართა.

1801 ნლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი.

1801 ნლის 15 სექტემბერს, ალექსანდრე პირველმა 1783 ნლის ტრაქტატის დარღვევა ახალი საიმპერატორო მანიფესტით დაადასტურა. საქართველოს უძველესი სამეფო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართველის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული ნირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრტვინველად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მამინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დაარფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 ნლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 ნლის თებერვლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასნლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 ნლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

რუსეთის სათავეში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ვერ გადაწყვიტა ის კარდინალური საკითხები, რაც განსაკუთრებით აღელვებდა მოსახლეობის ფართო ფენებს: ზავის საკითხი (ქვეყანა ისევ აგრძელებდა მსოფლიო ომში მონაწილეობას), მიწის საკითხი და სხვ. ყოველივე ეს კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმა (კომუნისტებმა) ლენინის მეთაურობით და 1917 ნლის ოქტომბერში დროებითი მთავრობა დაამხეს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები — მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა არ ცნეს ამ გადატრიალების კანონიერება.

რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა. 1917 ნლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს საკუთარი მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ფაქტობრივად, დაიწყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის პროცესი.

1918 ნლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ოთხთა კავშირთან გააფორმეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომლის ერთ-ერთი დებულება ითვალისწინებდა ორი ქართული (ბათუმი და არდაღანი) და ერთი სომხური (ყარსი) ოლქის თურქეთისთვის გადაცემას. კავკასიელმა ხალხებმა, რა თქმა უნდა, არ აღიარეს ეს შეთანხმება და 1918 ნლის 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის რუსეთისგან გამოყოფა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს, ცენტრით თბილისში. ეს იყო პირველი ნებაყოფლობითი ფედერაცია სამი კავკასიელი ხალხის ისტორიაში. ახლადშექმნილი რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა მრავალპარტიული შემადგენლობის სეიმი, რომლის თავჯდომარედ აირჩიეს ქართველი სოციალ-დემოკრატი ნ. ჩხეიძე. მისი მოადგილეები იყვნენ სომხური და აზერბაიჯანული პარტიების წარმომადგენლები.

რევოლუციის დაწყების დღიდან, განსაკუთრებით ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, დაიწყო კავკასიის ფრონტზე თურქებთან მებრძოლი რუსეთის არმიის დაშლა. ჯარისკაცებმა ოფიცერთა დიდი ნაწილის ამოხოცვის, აღჭურვილობისა და იარაღის თურქებისთვის მიყიდვის შემდეგ დატოვეს ფრონტი და რუსეთში დაბრუნება დაიწყეს. საქართველო და სომხეთი თითქმის მთლიანად დაუცველი აღმოჩნდა ძლიერი თურქეთის პირისპირ. რუსეთის ჯარში გაწვეული 200 000 ქართველიდან საქართველოში მხოლოდ 15000-დან 18000-მდე სამხედრო მსახურობდა; დანარჩენები გერმანიისა და ავსტრიის ფრონტზე რჩებოდნენ. მიუხედავად ამისა, კავკასიელებმა, ყოველ შემთხვევაში — ქართველებმა და სომხებმა მაინც — გადაწყვიტეს, წინ აღდგომოდნენ თურქეთის წინსვლას. როგორც კი თურქეთის ჯარები საქართველოს და სომხეთის ჯარებს წაწყდნენ, გაჩაღდა ბრძოლა. მაგრამ ეს ბრძოლა დასაწყისშივე განწირული იყო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის მესამე წევრმა, აზერბაიჯანმა, რომელიც თურქების მონათესავე ხალხით არის დასახლებული და მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებს, თურქეთის მხარე დაიჭირა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა — დამოუკიდებლობა. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა. აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგვეღო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..

ქართველებმა და სომხებმა ორიენტაცია გერმანიაზე აიღეს, რათა მას გავლენა მოეხდინა თავის მოკავშირეზე. მართლაც, გერმანიის ჩარევის წყალობით საქართველო გადაურჩა თურქულ ოკუპაციას. თურქებმა დაიკავეს მხოლოდ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქ. ბათუმით.

ცხოვრებამ უჩვენა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უპერსპექტივო წარმონაქმნი იყო. მან ორი თვეც ვერ იარსება და შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაიშალა.

1918 ნლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნ.ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანლის ა.ჩხენკელის წერილი, რომელშიც ის, აღწერდა რა მოლაპარაკებებზე შექმნილ მძიმე სიტუაციას, ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას.

1918 ნლის 26 მაისს სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ოფიციალურად აღიარა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება. იმავე დღის საღამოს კი შედგა საქართველოს „ეროვნული საბჭოს“ სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. ამაზე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

შემდეგი ორი დღის განმავლობაში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

1918 ნლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც კერძოდ, ნათქვამი იყო:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო მტრისაგან დაეცვა. „რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საიმარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. „დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკაკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. „ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 ნლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1)ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2)დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3)საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4)საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5)საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6)საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7)დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ამრიგად, 1918 ნლის 26 მაისს აღდგა 117 ნლის წინ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართველი ხალხი ამ ფაქტს საყოველთაო ზეიმით შეეგება. ეს ისტორიული მოვლენა XIX — XX ს-ის დამდეგის საქართველოს ეროვნულ — და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამაგვირგვინებელი შედეგი იყო. 26 მაისი საქართველოში დღესაც აღინიშნება, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.

ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დაზარალა მისი მეურნეობა, ხოლო რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ მდგომარეობა უფრო დაამძიმა. მოშლილი იყო მრეწველობა და ტრანსპორტი, განსაკუთრებით ჭირდა სურსათი. ხელისუფლებას კი დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის არ გააჩნდა არავითარი თანხები მყარ ვალუტაში.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის რეკონსტრუქციისკენ და ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა, რაც არცთუ ისე ადვილი იყო. საქართველოს ახალ მთავრობას ოთხი წლის მანძილზე ომის, რევოლუციის, კონტრრევოლუციის, სამოქალაქო ომის, ანარქიის, ეროვნული ვალუტის დაცემის და ეკონომიკური კრიზისის, რევოლუციის შედეგად რეგიონებში დეზერტირებისა და კრიმინალთა თარეშის გადატანა მოუხდა. ამ პირობების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებმა და მათმა ლიდერებმა გასაოცარ წარმატებას მიაღწიეს და პოლიტიკური და ეროვნული სიმწიფე გამოავლინეს.

მთავრობამ მუშაობა დაიწყო ეროვნული გვარდიის შექმნით, რომელმაც მცირე დროში დაამყარა წესრიგი რეგიონებში. წესრიგის დამყარებისა და ცხოვრების ნორმალურ რეჟიმში დაბრუნების შემდეგ, ეროვნულმა საბჭომ დამფუძნებელი კრების, ანუ პირველი პარლამენტის არჩევნებისთვის მზადება დაისახა მიზნად. არჩევნები გაიმართა 1919 ნლის თებერვალში, პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე — შეიძლება ითქვას, ყველაზე დემოკრატიული სახით. ხმის მიცემის უფლება მიენიჭა რესპუბლიკის ყველა 20 ნლის და უფროს მოქალაქეს, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა. არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა დაახლოებით 77% მიიღო, ზოგიერთ უბანში მათი რაოდენობა 80% შეადგენდა. არჩევნების შედეგად, დამფუძნებელი კრება შემდეგნაირად დაკომპლექტდა: სოციალ-დემოკრატები — 103 ადგილი; ეროვნულ-დემოკრატები — 11 ადგილი, ფედერალისტები — 8 ადგილი; სოციალური რევოლუციონერები — 5 ადგილი; სომეხი „დაშნაკების“ პარტია — 3 ადგილი.

კომუნისტებმა ერთი ადგილიც კი ვერ მოიპოვეს, რადგან ხმათა ერთ პროცენტზე ნაკლები მიიღეს. კრების წევრები იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები. გარდა ქართველებისა 130 წევრიან კრებაში წარმოდგენილი იყვნენ უმცირესობებიც, კერძოდ: სომხები (10), აზერბაიჯანელები (4),რუსები (2), ებრაელები (2), ბერძნები (1), გერმანელები (1).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო — მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ჭარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ გლეხებიც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო:

მთავრობის თავმჯდომარე — ნოე რამიშვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხენკელი.

შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი.

სამხედრო საქმეთა მინისტრი — გრიგოლ გიორგაძე.

ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — გიორგი ჟურული.

იუსტიციის მინისტრი — შალვა ალექსი-მესხიშვილი.

სახალხო განათლების მინისტრი — გიორგი ლასხიშვილი.

მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნოე ხომერიკი.

მიმოსვლის გზების მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე.

დამფუძნებელი კრების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება. ამ დავალების შესრულება საგანგებო კომიტეტს მიანდეს.

საქართველოს კონსტიტუცია საბოლოო ფორმით მიიღეს 1921 ნლის 22 თებერვალს. კონსტიტუცია ეფუძნებოდა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მოდელებს, რაც საქართველოს წარმოაჩენდა დემოკრატიულ ქვეყნად, ამ ცნების საუკეთესო გაგებით.

საბჭოთა რუსეთიცა და დასავლეთის ქვეყნებიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისგან. ისინი საქართველოს საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გაფუჭებას. ერთადერთი გამონაკლისი იყო არგენტინა, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა 1919 ნლის 13 სექტემბერს.

საქართველოს მთავრობამ ამ თხოვნით მიმართა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას. მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც თვით რუსეთმა, ორ ქვეყანას შორის 1920 ნლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დე-იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს: 1920 ნლის 24 სექტემბერს — გერმანიამ; 1921 ნლის 27 იანვარს — ბელგიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, იაპონიამ; 1921 ნლის 28 იანვარს — პოლონეთმა; 1921 ნლის 17 თებერვალი — ავსტრიამ; 1921 ნლის 18 თებერვალს — რუმინეთმა; 1921 ნლის 23 თებერვალს — ლუქსემბურგმა; 1921 ნლის 14 აპრილს — მექსიკამ.

1919 ნლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 ნლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყანას პირველ ხანებში არ ცნობდა რუსული „თეთრი მოძრაობა“, რომელიც გამოდიოდა „ერთიანი და გაუყოფელი“ რუსეთის ლოზუნგით. მოუწესრიგებელი იყო აგრეთვე სასაზღვრო საკითხები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული კამათი ჰქონდა აზერბაიჯანთან ზაქათალის ოლქის გამო. სომხეთის რესპუბლიკა კი პრეტენზიას აცხადებდა საქართველოს სამხრეთ რაიონებზე, სადაც მოსახლეობის ნაწილი სომხური იყო. 1918 ნლის დეკემბერში სომხეთის ჯარები მოულოდნელად შემოიჭრნენ საქართველოში, მაგრამ მოგერიებულნი იქნენ. ამიერკავკასიაში ინგლისური სარდლობის ჩარევით საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტილი იქნა.

სადავო ოლქის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა ე.წ. „ნეიტრალური ზონა“ შერეული ქართულ-სომხური ადმინისტრაციით. საქართველოს სრული იურისდიქცია ამ კუთხეში მხოლოდ 1920 ნლის ნოემბერში აღდგა. 1918 — 1920 ნლებში ლოკალური სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთელი ოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე და სხვა რეგიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს. ამ გამოსვლების მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნისტების აგიტაციით იყო გამოწვეული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სახელმწიფოს ჩამოყალიბების ყველაზე ძნელი პირველი პერიოდის სირთულეები მთლიანობაში დაძლეული იქნა. 1920 ნლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში უკვე აშკარად შეიმჩნევა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ნიშნები. საქართველოს დაუბრუნდა ბათუმის ოლქი, რომელიც თურქეთის მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ერთ ხანს ინგლისელებს ჰქონდათ დაკავებული. აღმავლობას იწყებს მეცნიერება და კულტურა. თბილისში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები — უნივერსიტეტი და კონსერვატორია. შეიძლება ითქვას რომ თუ არა ახალი ინტერვენცია და ანექსია საქართველო თავს დააღწევდა კრიზისს და გააგრძელებდა დამოუკიდებელი განვითარების გზას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომუნისტებმა 1920 ნლისათვის რუსეთში გაანადგურეს კონტრრევოლუციის მთავარი ძალები და შეუდგნენ იმპერიის ყოველი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას. იმავე ნელს მათ ძალით გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი. ასე რომ 1921 ნლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით უკვე საბჭოთა რესპუბლიკების ალყაში იყო. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ჰყავდა მეზობლად ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკა.

როგორც ზემოდ აღინიშნა, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებობდა 1920 ნლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა აღიარა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ იკისრა თავის ტერიტორიაზე კომუნისტებისათვის ლეგალური მუშაობის შესაძლებლობის მიცემა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს ჭირდებოდა მხოლოდ ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად და საქართველოში თავისი აგენტურისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისა და ამიერკავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში საქართველოსათვის მეტად ნეგატიური როლი შეასრულეს მაღალ თანამდებობებზე მყოფმა ქართველმა კომუნისტებმა — ი. სტალინმა, ს. ორჯონიკიძემ და სხვ.

1921 ნლის 12 თებერვალს სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში კომუნისტებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი „აჯანყებულთა“ დახმარების საბაბით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ.

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფება — მეთერთმეტე არმია — უტევდა თბილისს სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან. გარდა ამისა, ცალკეულმა შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა იერიში მიიტანეს აფხაზეთსა და ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელებზე. ნითელი არმია თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს (მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, ბუდიონის და ჟლობის კავალერიები) რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთის არმიამ დაიკავა თბილისი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების დროს შეტაკებაში 30 იუნკერი დაიღუპა. ისინი რუსთაველის გამზირზე, დღევანდელ პარლამენტის შენობასთან დაკრძალეს.

ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ მოახერხა ჭეშმარიტი საერთო-სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა გართულდა თურქეთის საზღვარზეც. 21 თებერვალს ანკარის მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების — ართვინისა და არტაანის დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულებული იქნა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, ხოლო ქალაქში დარჩენილმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ბათუმი შეინარჩუნეს. თურქების უკანდახევის შემდეგ ბათუმში რუსები შევიდნენ. 19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ცენტრებში უკვე საჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. მანამდე კი 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინი, არტაანი და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთის რესპუბლიკას გადაეცა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება და განახორციელა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. ქვეყანაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა. გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც აღიარებულ იქნა 1921 წლის 21 მაისის ახალი ხელშეკრულებით და 1922 წლის კონსტიტუციით, თუმცა იურუდიული ფორმა არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ სინამდვილეს.

საქართველო იძულებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირში. დამოკიდებლობანართმეული ქვეყანა 70 წელი ელოდა თავისუფლების ხელმეორედ მოპოვებას.

დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს თბილისში ეწყობა მშვიდობიანი აქციები. საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის მოთხოვნით 1989 წლის აპრილში თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციები ეწყობოდა. მშვიდობიანი მიტინგი 9 აპრილს, გამთენიისას სასტიკად დაარბია საბჭოთა არმიამ, რასაც სამოქალაქო მსხვერპლი მოჰყვა. ტრაგედიის მიუხედავად, ბრძოლა ქვეყნისთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსის მოსაპოვებლად მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი. საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. ამავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი საბჭოს პირველ სესიაზე ძალაში შევიდა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო:

„საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით. 1921 წლის თებერვალმარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისაკენ. 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება“.

1991 წლის 26 მაისს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგაც საქართველოს მოსახლეობის 87% საყოველთაო და დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩია ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

1991 წლიდან მოყოლებული 26 მაისს ქვეყნის მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს.

მოამზადა ია გიგიაშვილმა

წყარო:
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა



მერაბ კოსტავა დაიბადა 1939 წლის 26 მაისს ქალაქ თბილისში, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის — ვლადიმერ დემურიას ოჯახში. მისი დედამამა ოლღა დემურია და ივანე ქრისტეფორეს ძე კოსტავა — განათლებული, კულტურული, მოსიყვარულე, გულისხმიერი და მზრუნველი მშობლები იყვნენ. მერაბის პიროვნების ჩამოყალიბებაში ბაბუასთან და მშობლებთან ერთად დიდ როლს მისი ბიძა — ცნობილი მსახიობი და ყოფილი პოლიტპატიმარი — გრიგოლ კოსტავა თამაშობდა.

1946 წელს იგი შეჰყავთ ქალაქის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში, სადაც ნიჭიერებითა და სიბეჯითით მასწავლებელთა ყურადღებას იქცევს. აქვე ჩაეყარა საფუძველი მის მეგობრობას ზვიად გამსახურდიასთან. დიდი ქართველი პროზაიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში მერაბი ხშირი სტუმარია. დიდმა მწერალმა საკუთარი ვაჟი და მისი განუყრელი მეგობარი ეროვნული იდეებით, დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებით დამუხტა.

მერაბ კოსტავას კარგი მუსიკალური მონაცემები აღმოაჩნდა და იგი სწავლას ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში აგრძელებს.

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან იწყება მერაბ კოსტავას პოლიტიკური მოღვაწეობა. 13 წლის ასაკში მეგობრებთან ერთად იგი ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. თანამოაზრეები იკრიბებიან კოლხურ კოშკში ან ჯავახიშვილის ქუჩაზე — მერაბის სახლში. მათი იდეური მოძღვარი კონსტანტინე გამსახურდიაა.

მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და მათი რამოდენიმე თანატოლი აარსებენ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ პირველ პატრიოტულ არალეგალურ ორგანიზაციას „გორგასლიანს“. მასში ერთიანდება გოლიათი მეფის — ვახტანგ გორგასალის — ცხრა სულიერი შთამომავალი. თბილისში და უნგრეთში 1956 წლის სისხლიან დღეებს ისინი ეხმაურებიან პროკლამაციებით, რომელსაც ამრავლებენ და აკრავენ რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტზე. ამის შემდეგ, იმავე წლის 14 დეკემბერს, უშიშროების კომიტეტის ვიზით „ურჩ“ მოსწავლეებზე აღძრავენ 4612 საქმეს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 58-10 ნაწილის 1 და 58-11 მუხლებით, რაც არალეგალურ ანტისაბჭოთა საქმიანობას ითვალისწინებს. საქმე 6 ტომს მოიცავს. ქართველ მწერალთა პროტესტის შემდეგ, მთავრობა იძულებულია მერაბ კოსტავა და მისი მეგობრები პატიმრობიდან გაანთავისუფლოს. 1957 წლის 5 აპრილს ტარდება სასამართლო პროცესი, რომელიც მოსწავლეებს პირობით სასჯელს (3-დან 5 წლამდე) განუსაზღვრავს.

1958 წელს მერაბ კოსტავა ამთავრებს ათწლედს და წარმატებულად აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა წლებში მუშაობს რუსთავისა და თბილისის II სამუსიკო სასწავლებელში, 8 სამუსიკო სკოლაში მუსიკის ისტორიის პედაგოგად. 1967 წლიდან იწყებს მუშაობას რედაქტორად ჟურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. ამ ხანებში იგი როგორც ნიჭიერი მუსიკათმცოდნე და თეატრალური კრიტიკოსი აქვეყნებს მთელ რიგ წერილებს ქართული მუსიკის და თეატრის განვითარების საკითხებზე.

ამ პერიოდში იგი ძალზე ბევრს კითხულობს, ათეიზმისა და მატერიალიზმის ბატონობის ხანაში ეცნობა რელიგიურ, თეოლოგიურ ლიტერატურას. მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყოველმხრივ იდევნება და ითრგუნება სულიერების, ეკლესიური ცხოვრების ნებისმიერი გამოვლინება, მერაბ კოსტავა უშიშრად და დაუფარავად ესწრება ტაძარში აღსრულებულ ღვთისმსახურებას. სწორედ ჭეშმარიტების ძიების პროცესში იშვება ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დისიდენტობა. მათ კარგად ესმით, რომ ქრისტიანობა დროის მიღმაა, მარადიულია, ხოლო პიროვნების თავისუფლებას კი ერის თავისუფლებისგან მოუწყვეტლივ განიხილავენ.

1972 წელს, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა აყალიბებენ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფს და ამყარებენ მჭიდრო კავშირს მოსკოვისა და ლენინგრადის თვითგამოცემის ჯგუფებთან. მეტად ნაყოფიერია ეს წლები ქართველი თვითგამომცემლებისთვის. ამ პერიოდში თბილისში იბეჭდება და ვრცელდება არალეგალური ლიტერატურა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია „არქიპელაგ გულაგი“, „ლოდების ქვემოდან“, „მშვიდობა და ძალადობა“, „მიმდინარე ამბების ქრონიკა“, „იარსებებს თუ არა სსრკ 1984 წლამდე“ და მრავალის სხვა. მასიური ტირაჟით იწყებს გამოსვლას ქართული თვითგამოცემის ჟურნალები „ოქროს საწმისი“ (4 ნომერი) და „საქართველოს მოამბე“ (2 ნომერი).

1976 წელს, მოსკოვში, აკადემიკოს ორლოვის მიერ იქმნება ჰელსინკის ხელშეკრულებათა საშემსრულებლო ჯგუფი. ანალოგიური ჯგუფი ყალიბდება საქართველოშიც. მისი მიზანია ინფორმაციის შეგროვება და სტატიების გამოქვეყნება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით კი — ეროვნების, რელიგიის, ძეგლთა დაცვის და პატიმართა უფლებების დარღვევის სფეროში. იწერება საპროტესტო წერილები, კოლექტიური განცხადებები.

1977 წლის 7 აპრილს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის საბაბით, მერაბ კოსტავას ზვიად გამსახურდიასთან ერთად აპატიმრებენ. 1978 წლის 15-19 მაისს ტარდება სასამართლო სხდომა, რომლის განაჩენია — სამი წლის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდა და ორი წელი გასახლება. სასამართლოს შემდეგ რამდენიმე ხანი მერაბ კოსტავა კვლავ თბილისის სუკის საპყრობილეში დაჰყოფს, შემდეგ კი მას პერმის პოლიტსაპატიმროში გადაიყვანენ.

1978 წლის ზაფხულში, ამერიკის კონგრესი, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საბჭოთა კავშირის ჰელსინკის ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, ნობელის პრემიაზე წარადგენს, მაგრამ ნობელის კომიტეტი ზედმეტად აღარ აღიზიანებს კრემლს და პრემია აღნიშნულ წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრ იცხაკ რაბინს და პალესტინის პრეზიდენტ იასერ არაფატს გადაეცემა კემპ დევიდში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის. კოლონიაში სასჯელის მოხდის შემდეგ, 1980 წლის აპრილში მერაბ კოსტავას ასახლებენ ირკუტკის ოლქში, ტაიშეტის რაიონის დაბა კვიტოკში. გასახლების ბოლო თვეებში მონყობილი პროვოკაციის შედეგად, მას ხელახლა ასამართლებენ და მაქსიმუმს — ხუთ წელსა და ერთ თვეს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმრობას მიუსჯიან. აღნიშნულ ვადას იგი ქალაქ ანგარსკში იხდის. კოლონიის სხვა პატიმრებისაგან განსხვავებით, მერაბს შიდა ტერიტორიაზე დამამცირებელ სამუშაოს სთავაზობენ, რაზეც იგი უარს აცხადებს. დაუმორჩილებლობის საბაბით, მას კიდევ სამ წელს უმატებენ. ამის გამო, 1984 წლის 28 ნოემბერს მერაბ კოსტავა უვადო შიმშილობას აცხადებს. შიმშილობის მერვე თვეს წერს პოემას „შიმშილობა“. პროტესტის ეს უკიდურესი ფორმა წელიწადი და თვენახევარი გაგრძელდება. ამ დროს იგი სულიერი სიძლიერის არნახულ მაგალითს აჩვენებს. ამ პერიოდში მერაბ კოსტავას მესამედ წარადგენენ ნობელის პრემიაზე.

უდიდესი ტანჯვა-წამებაც ვერ თრგუნავს დისიდენტის უტეხ ნებისყოფას. შიმშილობის დროს, იგი იღებს ცნობას მისი უსაყვარლესი ვაჟის, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის — ირაკლის დაღუპვის შესახებ.

ციე საკანში მოთავსებული მერაბ კოსტავას ჯანმრთელობა უკიდურეს მდგომარეობაშია. ზვიად გამსახურდიას უდიდესი ძალისხმევა, რომელიც არაერთხელ მიმართავს დასავლეთის სამყაროს, რომ რეაგირება მოახდინონ ადამიანის უფლებების დარღვევის ამ აშკარა ფაქტზე, თავის ნაყოფს იღებს. საერთაშორისო პოლიტიკური ძალების ზეწოლის შედეგად, ხელისუფლება იძულებულია გაანთავისუფლოს მერაბ კოსტავა. ეტაპობრივად იგი ჯერ ტაშკენტში, მოგვიანებით კი საქართველოში, ქსანში გადაჰყავთ, ხოლო 1987 წლის 30 აპრილს მერაბ კოსტავა პატიმრობიდან ბრუნდება.

დაბრუნებისთანავე ინტენსიურად აგრძელებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შედის. ზვიად გამსახურდიასთან ერთად, იგი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა საპროტესტო აქციის, გაფიცვის, შიმშილობის, მიტინგის თუ დემონსტრაციის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილეა.

1989 წლის 9 აპრილს, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ერთად აპატიმრებენ იმ მშვიდობიანი მიტინგის ორგანიზებისათვის, რომელიც საბჭოთა არმიის მიერ უდანაშაულო ქართველების გაჟლეტვით სრულდება. ორმოცი დღის შემდეგ, საზოგადოების პროტესტის გამო მათ ანთავისუფლებენ.

1989 წლის ოქტომბერში, მერაბ კოსტავას უშუალო ხელმძღვანელობით, თბილისის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იწყება ქართველ ნვევამდელთა საპროტესტო აქცია, რომლის მოთხოვნაა: ქართველმა ახალგაზრდებმა სამხედრო-სავალდებულო სამსახური მოიხადონ საქართველოს ტერიტორიაზე და არა რუსეთში, სადაც ხშირად ჰქონდა ადგილი ქართველების წამებისა და მკვლელობის ფაქტებს.

სიკვდილამდე ერთი დღით ადრე მერაბ კოსტავას ინიციატივით იქმნება „საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი“, რომელიც ითვალისწინებს იმავე მიზნების აღსრულებას, რაიც თავს იდო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ილიას მიერ დაარსებულმა „სათავადაზნაურო ბანკმა“. კერძოდ, ქვეყნის მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, ქრისტიანულ-საქველმოქმედო საქმეთა განხორციელება, ქვრივთა, ობოლთა, უპოვართა, ხეიბართა და მარტოხელა მოხუცთა მოკითხვა და მოვლა-პატრონობა ეროვნული ნიშნის მიუხედავად, რადგან, როგორც თავად მერაბი აღნიშნავდა, გაჭირვებასთან და სიკვდილთან მიახლოვება ნებისმიერი ერის შვილს ათანასწორებს.

ამ დროს, ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ განვითარების აპოგეას მიაღწია და როცა აღზევების გზაზე მდგომ ქართველთა უდრეკ სულს თავისუფლების ჯვარი უნდა აღემართა, სწორედ მაშინ გამოსტაცა სიკვდილმა ქართველ ერს მერაბ კოსტავა — 1989 წლის 13 ოქტომბერს, ქუთაისიდან თბილისს მომავალი, სოფელ ბორითთან, სუკის მიერ მოწყობილ ავარიაში ტრაგიკულად დაიღუპა.

თავისი გარდაცვალებით მან ერთხელ კიდევ გააერთიანა და აღაზევა სრულიად საქართველო. მოწამეობრივი ცხოვრებით გმირობისა და თავგანწირვის მაგალითი უჩვენა თავის სათაყვანებელ ერს. მთელმა საქართველომ დაიტირა მერაბ კოსტავა და გულწრფელი ცრემლით მიაცილა იგი მამადავითზე, ნინაპართა წმინდა სავანეში საუკუნოდ განსასვენებლად.

მერაბ კოსტავას კალამს ეკუთვნის არაერთი ფილოსოფიური ნააზრევი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პატიმრობაში დაწერილი „ფიქრები საქართველოს მისიაზე“. პატიმრობაშივე დაიწერა „ფიქრები ქართულ კულტურაზე“, მრავალი პუბლიცისტური წერილი და ესსე. იგი პოეტური შთაგონების ბევრ შესანიშნავ ლექსს ჰქმნის. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ეცნობა ფართო მკითხველი მის ამ ნაწარმოებებს. თარგმნილი აქვს გერმანული ენიდან რუდოლფ შტაინერის „თეოსოფია“ (ზვიად გამსახურდიასთან ერთად), რუდოლფ შტაინერის „ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით“, რუსულიდან ჰ. იბსენის „განდგომილება კისრისა“, ა. სახაროვის „ქვეყნისა და მსოფლიოსათვის“, ა. ბელის წერილი და სხვა.

1993 წლის სექტემბერში, ზუგდიდში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მესამე მოწვევის მეორე სესიამ მერაბ კოსტავას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. ქალაქ თბილისში მთავარ ქუჩას და საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მერაბ კოსტავას სახელი. დაარსდა მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-დრამატული თეატრი თბილისსა და ქუთაისში. 8 სამუსიკო სკოლას, სადაც იგი მუშაობდა, სიცოცხლის ბოლო წლებში ეწოდა მერაბ კოსტავას სახელი.

გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული აქვს ორი პრემია: დავით აღმაშენებლისა — ლექსების კრებულისათვის და მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილებისათვის.

მერაბ კოსტავას — ჭეშმარიტ მამულიშვილს, ეროვნული გმირის ყველა თვისება გააჩნდა. მისი პოლიტიკური და პიროვნული ხატი იყო ერთიანი, მთლიანი საქართველო. მერაბ კოსტავას პიროვნების სრული დახასიათებისათვის არ შეიძლება არ ვახსენოთ მერაბ კოსტავა, როგორც ქრისტიანი. იგი შეგნებული ჭაბუკობის წლებიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლო წუთამდე ათი მცნების განუხრელი შემსრულებელი იყო.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მერაბ კოსტავა გახლდათ ის პიროვნება, რომლის ცხოვრება, შემოქმედება და ღვაწლი, ოცდამეერთე საუკუნეშიც გზას გაუკვალავს ჭეშმარიტი ეროვნული ღირებულებების მაძიებელთა.

ციცინო მაღლაფერიძე

ფერმერთა და მიწათმოქმედთა საყურადღებოდ!

როგორ ხდება ჩითილის გამოყვანა, გადარგვა

ნებისმიერი მცენარის ზრდა — განვითარებისათვის მთავარია სინათლე და სივრცე. კარგი ჩითილი, ძლიერი მცენარეა — მუქი მწვანე ფერის , მსხვილი ღეროთი და კარგად გატტილი სიგანეში. წვრილ ღეროიანი მაღალი და მკრთალი მცენარე კარგ მოსავალს ვერ მოგვცემს. ამიტომ შევქმნათ შესაბამისი პირობები. თუ ჩითილი სახლში გამოგვყავს უნდა უზრუნველყოთ 12 საათიანი დღის სინათლით და მინიმალური ტემპერატურა 15 გრადუსზე დაბლა არ უნდა დაეცეს.

ჩითილის გადატანას (2-3 ნამდვილი ფოთლის ფაზაში) ადვილად უძლებს პომიდორი, წიწაკა, ბადრიჯანი, რომლებსაც გადატანისას უკეთებენ „პიკირებას“ — ძირითადი ფესვის 1/3 აჭრიან და ღია გრუნტზე რგავენ ღრმად, ისე რომ ფოთლები ახლოს იყოს ნიადაგთან, მაგრამ არ ეხებოდეს. ამ დროს მიწაში მყოფ ღეროც ანვითარებს ფესვებს და იზრდება მოსავლიანობა.

კიტრს რაც შეეხება იგი ბევრად ფაქიზია და ღია გრუნტზე გადატანა უმჯობესია ტორფის ან ქაღალდის ჭიქიანად, რათა ფესვმა არ მიიღოს სტრესი. იგივე შეიძლება ითქვას გოგრაზე, ნესვზე, ყაბაყზე, პატისონზე.

პომიდორს და მის ნათესავებს არ უნდათ ხშირი რწყვა, მაგრამ ნიადაგი არ უნდა შეშრეს. კიტრს, გოგრას, ნესვს და ა.შ. პირიქით ხშირი რწყვა უნდა.

იმისათვის, რომ მივიღოთ კარგი მოსავალი, ნაყოფის მომცემი მცენარე ზრდის პერიოდში უნდა „შევაწუხოთ“ მივაყენოთ მცირე სტრესი. ამ დრომ მცენარეს ჰგონია, რომ შეიძლება მოკვდეს და ცდილობს გამოიტანოს რაც შეიძლება ბევრი ნაყოფი (თესლი) და დატოვოს შთამომავლობა. საუბარია იმ მცენარეებზე, რომლის ნაყოფიც გვაინტერესებს (კიტრი, პომიდორი, ხეხილი...) . ამ შემთხვევაში, პირველი ყვავილებიანი და ნაყოფიანი ნამხრევები უნდა შევაცალოთ, და გაცილებით მეტ ნაყოფს მივიღებთ ვეგეტაციის პერიოდში. ალბათ გექნებათ გაგონილი ხეხილის ჯოხით ცემა , დაშინება, ზოგჯერ მერქანზე ცულსაც ჩაარტყამდნენ ხოლმე ან ფოლადის რკალს უკეთებდნენ და უნაყოფო მცენარე კარგ მოსავალს იძლეოდა. სწორედ ამ მეთოდზეა საუბარი, ჩვენმა წინაპრებმა ბევრი რამ იცოდნენ.

განსხვავებით იმ მცენარეებისა რომელთაგანაც გვინდა ფოთოლი ან ძირხვენა (კომბოსტო, სალათი, მწვანილი, კარტოფილი...) — მათ უნდა შევუქმნათ კარგი პირობები ზრდის პერიოდში, რომ ნაადრევად არ გამოიტანონ თესლი.

ყველა ეტაპზე — (თესლის დამუშავება, ჩითილის გადატანა და შემდგომი გამოკვება,) გამოიყენეთ სასუქი „ორგანიკა“ და მიიღებთ გაცილებით მეტ და გემრიელ მოსავალს. რაც მთავარია — მცენარეს იმუნიტეტი ისე გაუძლიერდება, რომ დაავადებების რისკი იქნება მინიმალური, და მის დასაცავად შხამ ქიმიკატებს აღარ გამოიყენებთ.

მოამზადა ალექსანდრე გიგილოშვილმა

საზამთრო

ნიადაგი: ნიადაგის სტრუქტურა უნდა იყოს ნაყოფიერი. სასურველია თიხნარი ან ქვიშიანი, წყალგამტარი და ჰაერგამტარი ნიადაგი. საზამთროსთვის ნიადაგის მომზადება უნდა დაიწყოთ შემოდგომიდან, წინამორბედი კულტურის მოსავლის აღების შემდეგ. კარგად უნდა გადათოხნოთ ნაკვეთი, რომ კარგი მოსავალი მიიღოთ. საზამთროს საუკეთესო წინამორბედებია: კომბოსტო, კარტოფილი და პარკოსნები. გაზაფხულზე აკეთებენ „საწოლებს“, ფიცრებით ან აგურებით, ოთკუთხედად, შემდეგ ნიადაგში შეაქვთ ფოსფორი-კალიუმის (მინერალური) სასუქები, ხის ნაცარი, და დოლომიტის ფქვილი, ასევე ნაკელი ან კომპოსტი.

გამრავლება: ჩვეულებრივ, თესლს თესავენ 24 აპრილის შემდეგ, მინიმუმ 0.3 ლიტრიან კონტეინერებში, იმიტომ რომ ფესვები ცუდად ეგუებიან გადარგვას. ნიადაგი შედგება: ნეშომპალის, ქვიშისა და ტორფის თანაბარი ნარევისგან. 5 ლიტრ ნარევზე დაუმატეთ 50 გრამი დოლომიტის ფხვნილი და კალიუმის სულფატი, 100 გრამი ორმაგი სუპერფოსფატი, 45 გრამი ამონიუმის ნიტრატი (გვარჯილა). ნერგი მოითხოვს ძალიან კარგ განათებას, ამიტომაც ქოთანი ჯობია დადგათ ყველაზე განათებულ ფანჯარაში. როდესაც ნერგს გამოუვა 3 ნამდვილი ფოთოლი, ის უნდა გამოკვებოთ თხევადი მინერალური სასუქებით და 1 თვის შემდეგ, ივნისში, ნერგი შეგიძლიათ დარგოთ მიწაში.

დარგვა: აირჩიეთ მზიანი ადგილი სამხრეთ, ან სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. ნათესაური კულტურის შემდეგ დარგვა, როგორიცაა გოგრა, არაა რეკომენდირებული. წყლის უკეთესი გამტარიანობისთვის და ნიადაგის გათბობისთვის აკეთებენ ფიცრებით „საწოლებს“ 90 სანტიმეტრი სიგანის და 25 სანტიმეტრი სიმაღლის, შიგნით კი ბორცვებს აკეთებენ 18 სანტიმეტრის სიმაღლის და 40-50 სანტიმეტრი სიგანის. ირგვება ერთ რიგში, ერთმანეთისგან 40-50 სანტიმეტრის დაშორებით, ან ორ რიგში — შახმატურად, 70 სანტიმეტრის დაშორებით თითოეულ მწკრივში. დარგვის ადგილას თხრიან 8-10 სანტიმეტრზე ორმოს. თესავენ ფოთლების გამოსვლამდე. თუ დაფარავთ ნიადაგს მუქი პარკით ან ნაჭრით, მიიღებთ შესანიშნავ ეფექტს. მუქი პარკი არამარტო დაგეხმარებათ ოპტიმალური ტენიანობის შენარჩუნებაში, არამედ შეინარჩუნებს უფრო მეტ სითბოს და დაიცავს მცენარეს სარეველებისგან, გაფხვიერების საჭიროება კი საერთოდ გაქრება. რგავენ მაისის მეორე ნახევარში, უხვ ყვავილობას იწყებს ივლისის დასაწყისში. მას შემდეგ, რაც მოისხავს 4-5 ნაყოფს, ყველა შემდეგი უნდა მოაშოროთ. როგორც კი ნაყოფები გაიზრდება დიდი ვაშლის ზომამდე, მცენარის „საცეცების“ ზრდა უნდა შეზღუდოთ გასხვლით, ბოლოდან 5-6 ფოთლის მერე. ამის გარდა მნიშვნელოვანია, რომ ნაყოფი პერიოდულად გადაატრიალოთ, ასე საზამთროები დამწიფდებიან თანაბრად.

მორწყვა: დარგვის შემდეგ მორწყეთ ზომიერად: კვირაში ერთხელ, 3 ვედრო 1 კვადრატულ მეტრზე, ყვავილობისას უნდა მორწყათ კვირაში მინიმუმ 2-ჯერ. წყალი უნდა დაასხათ ფესვებზე, ისე, რომ ფოთლებს არ მოხვდეს. ნაყოფის მომწიფების პერიოდში მორწყვა შეწყვიტეთ, მორწყეთ მხოლოდ გვალვისას.

ტემპერატურა: საზამთრო სინათლის და სითბოს მოყვარული მცენარეა და მაგიტომაც უკეთესად იზრდება მზით გამთბარ ადგილებში. ნაყოფის ნორმალური განვითარებისა და მომწიფებისთვის ოპტიმალური ტემპერატურაა 22-30°. 15°-ზე უკვე მცენარის ზრდა ნელდება.

კვება: სასუქს აძლევენ 2-ჯერ: 1) პირველი 5 ფოთლის ფორმირებისასთხევადი ნაკელი ან ფრინველის სკინტლი, 30 გრამი სუპერფოსფატი და 15 გრამი კალიუმის ქლორიდით, 10 ლიტრ წყალზე.

2) „საცეცების“ წარმოქმნის მომენტში: ერთ მცენარეზე-4 გრამი ამონიუმის ნიტრატი, 6 გრამი სუპერფოსფატი და 4 გრამი კალიუმის ქლორიდი. სასუქის შეტანამდე და შეტანის შემდეგაც სასურველია მცენარე მორწყათ, რომ სასუქი უკეთ შეიწოვოს.

„საცეცები“: სასურველია საზამთროს „საცეცები“ ბრთხილად მიმართოთ სასურველ მხარეს, რომ არ აიხლართონ და ჯობია დაფაროთ მიწით, რომ მათზე განვითარდეს დამატებითი ფესვები და ქარმა არ ამოატრიალოს.

მოვლა: კარგი მოვლა საზამთროსთვის მნიშვნელოვანია. რეგულარული გაფხვიერება, ყინვისგან დაცვა (პარკით, გაჭრილი ბოთლებით ან კარდონით), დროული მორწყვა, სარეველების მოშორება, პარაზიტებთან და დაავადებებთან ბრძოლა. მცენარე უნდა გააფხვიეროთ მორწყვიდან ან წვიმიდან 2 დღის შემდეგ, რომ ნიადაგზე არ წარმოიქმნას ქერქი, რომელიც ხელს შეუშლის ჰაერის გამტარიანობას. ჯობია პირველად გააფხვიეროთ მცენარის მიწაში გადარგვისთანავე. გაფხვიერება შეწყვიტეთ მწკრივების დახურვის, შეერთების შემდეგ. საზამთროს ნაყოფი წარმოიქმნება ძირითად ღეროზე. დატოვეთ 4-5 ნაყოფი ერთ მცენარეზე, დანარჩენი მოაშორეთ. იზრუნეთ, რომ ყვავებმა არ შეჭამონ თქვენი საზამთროები, მაგისთვის შეგიძლიათ საზამთროები დაფაროთ ბალახით ან ოროვანდით. შეგიძლიათ დადგათ ჯოხი და მასზე დაკიდოთ შუაზე გაჭრილი პლასტმასის ბოთლები, ქარის დახმარებით იხმაურებენ და ყვავებს შეაშინებენ.

დაავადებები და მავნებლები: ყველაზე გავრცელებული მავნებლებია-ნესვის ბუგრი, ობობის ტკიპა და ნესვის ჭიამაია. დაავადებებია-ნაცროვანი სოკო, ფესვთა სიდამპლე, ანთრაქნოზი, ჭრაქი, მოზაიკა. თუ თავისდროზე არ მოაგვარებთ მავნებლების პრობლემას, მერე დაგვიანებული იქნება.

მოსავლის აღება: ივლისის ბოლოს-აგვისტოს დასაწყისში შეგიძლიათ აიღოთ თქვენი მოსავალი. საზამთროს სიმწიფე შეიძლება შემოწმდეს სხვადასხვანაირად:

1) საზამთროს უჩნდება გლუვი ქერქი.

2) კუდი (საზამთროს ღერო) უნდა იყოს ხმელი, გამომშრალი.

3) საზამთროზე დაკაკუნებისას უნდა გამოსცემდეს ყრუ და არა ჟღერად ხმას.

წყარო://http://georgianels.ge/
მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

ვარდების მოვლა და მოშენება

ვარდის გარეშე გაზაფხული წარმოუდგენელია. მაისის თვე ხომ ვარდობის თვეა.ვარდი ყვავილების დედოფალია და ალბათ არავის არ უკვირს რატომ.

ვარდების გარეშე წარმოუდგენელია რომანტიკა, სიყვარული და მეგობრობაც. ის უყვარს ნებისმიერი ასაკის წარმომაგდენელს.და ასევე ქალსაც და კაცსაც და სწორედ ამის დამსახურებაა რომ ასეთი პოპულარულია ვარდი, რომელსაც სისტემატური მოვლა და აღზრდა სჭირდება.

მსოფლიოში ვარდის 400-მდე ველური სახეობაა გავრცელებული რომლებიც, ძირითადად, გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

ვარდი მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი ბუჩქია, რომლის სიმაღლე 15 სმ-იდან 2 მ-მდე აღწევს. ზოგიერთ სახეობას გრძელი (10-12 მ-მდე) ხვიარა ტოტები აქვს, ღერო დაფარულია ეკლებით. ფოთოლი კენტფრთისებრია, ღეროზე მორიგეობით განლაგებული.

ყვავილი მარტივია ან ბუთხუზა (2-15 სმ დიამეტრის), არომატული ან უსუნო, შეფერილობით შეძლება იყოს — ვარდისფერი, წითელი, თეთრი, ყვითლი, ნარინჯისფერი ან იასამნისფერი. შეკრებილია ქოლგისებრ-საგველა ყვავილედებად ან ერთეულია.

ნაყოფი ერთთესლიანი (ზოგჯერ რამდენიმეთესლიანი) კაკლუჭაა, რომელიც ხორცოვან ცრუნაყოფშია მოთავსებული. ვარდის ზოგიერთი სახეობა ეთეროვანი ზეთების მისაღებად გამოიყენება. ვარდისგან ამზადებენ აგრეთვე მურაბას. ბევრი სახეობის ცრუ ნაყოფის რბილობი კი C და P ვიტამინებს შეიცავს. საქართველოში ვარდის 30-მდე სახეობა იზრდება.

ვარდი აუცილებლად მზიან ადგილას უნდა დაირგას, რადგან ჩრდილში სუსტად იზრდება, უღიმღამოდ ყვავის და ადვილად ავადდება. ადვილად ზიანდება ასევე ძლიერი ქარისგანაც — ხშირად არა მარტო ფოთლები და ყვავილები ზიანდება, არამედ შეიძლება, ტოტებიც დაიმტვრეს. ვარდს უხვად მორწყვა უყვარს, ოღონდ ნიადაგი წყლის კარგად გამტარი უნდა იყოს. დამდგარ წყალს ვერ იტანს. კარგი იქნება თუ გაზაფხულზე სასუქს შეაშველებთ. როგორც წესი, ეს გადამწვარი ნაკელი ან მინერალური აზოტიანი სასუქი უნდა იყოს. ზაფხულში, პირველი ყვავილობის დამთავრების შემდეგ კომბინირებული მინერალური სასუქიც შეგიძლიათ მისცეთ.

გასხვლა: ვარდებისთვის გასხვლა აუცილებელი პროცედურაა და მცენარეს გაახალგაზრდავებასა და ზრდაში ეხმარება. აუცილებელია, მცენარე ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე — თებერვალ-მარტში გაისხლას, სანამ დაბერილი კვირტები დაიწყებს გაზრდას.

უკვე გაშლილი კვირტების დროს გასხვლა ზრდა-განვითარებასაც აფერხებს და ყვავილობასაც უშლის ხელს.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ტიპის ვარდები სხვადასხვანაირად ისხვლება: ჩაის ანუ ჩვეულებრივ ბუჩქის ფორმით მოზარდი ვარდები, როგორც წესი, ყვავილობენ ახლად განვითარებულ ანუ იმ წლის ტოტებზე, წინა წლის ტოტები კი ხევდება, უხეშდება და ისე იტოტება, რომ ყვავილი შეიძლება, ბევრიც იქონიოს, მაგრამ უხარისხო და დაკნინებული. აქედან გამომდინარე, ჩაის ვარდი ყოველწლიურად, დაბალზე უნდა გასხლათ, თუ გინდათ, რომ ძლიერი ტოტები გაეზარდოს და ყვავილობაც ეფექტური ჰქონდეს, ამისთვის საჭიროა: კარგად გალესილი ბაღის მაკრატლით ან დანით მიწის პირიდან არაუმეტეს 20-25 სმ-ზე გადაჭრათ. აუცილებელია, ასევე გაშავებული, გადატეხილი, გულში დაჭანებული და კანდაზიანებული ყველა ტოტის მოჭრაც. მცენარეს მხოლოდ კარგად განვითარებული, მსხვილი შარშანდელი ტოტები უნდა დაუტოვოთ (არაუმეტეს 3-4 ტოტისა). შარშანდელ ტოტებს იმით ამოიცნობთ, რომ მათ შედარებით ცხელი კანი და მწვანე ან მოწითალო ფერი აქვს. უფრო ძველი ტოტები ნუ დაგენანებათ და ძირში მოჭერით, ასევე ძირში მოჭერით ტოტები, რომლებიც მცენარეს ბუჩქს შიდა მიმართულებით ეზრდება. საჭიროა ეცადოთ, ბუჩქი ღია ცენტრი ჰქონდეს, ეს ხელს უწყობს ბუჩქის ფესვთა სისტემის ზრდას. ასევე, ეცადეთ, ბუჩქი ოვალური ფორმა ჰქონდეს, ეს ხელს უწყობს ბუჩქ

„კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილადა“

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ადამიანთა ყოფითი რეალიები გამუდმებით ცხადყოფენ, რომ მწუხარებასა და სიხარულის მარადიული მონაცვლეობა ამქვეყნად ყოფნის აქსიომებია, რომლებიც განუწყვეტლად გვასწავლიან ღმერთისგან ნაბოძები სიცოცხლისა და არსებობის ვალდებულებებს, გვასწავლიან, როგორ გავუძლოთ მწუხარებისა და ბედისწერის შემაძრწუნებელ განცდებს, რაც უმეტეს შემთხვევაში საყვარელი ადამიანის უეცარი ან მოსალოდნელი გარდაცვალებით ვლინდება. სხვაგვარად ძნელია ტრაგიზმს გაუძლოს დედამ, მამამ, მეუღლემ, და-ძმამ, პატარა შვილებმა...ამ დღეებში, 23 მაისს, 48 წელი შეუსრულდა გიორგი იმერლიშვილს, ამ დღეს კიდევ ერთხელ ტკბილ-მწარე განცდით შეისვა გიას შესანდობარი. ოჯახის წევრებთან ერთად, მეგობარ-თანამშრომელთა დიდმა წრემ კიდევ ერთხელ მწვავე მონატრებით მოვიგონეთ ასე უდროოდ და გულსაკლავად წასული ახალგაზრდა კაცის განვლილი გზა, რომელსაც სიწმინდისა და მოქალაქეობრივი ალალმართლობის, ვაჟკაცობისა და თავდადებული ერისშვილობის დიადემა ადგას. გულსატკენია მეტად, რომ გიას შუაგზაზე უნია ბედისწერის უხილავმა ხელმა და კიდევ უამრავი საქვეყნო და სასიკეთო საქმისთვის შემართული ძალღონით სავსე ახალგაზრდა კაცი წააქცია. გზაფხულისათვის უჩვეულო მდუმარებაში თქმული შესანდობარი ამდაგვარი იყო: „ჩვენო საამაყო ვაჟკაცო, ქვეყნის ერთგულო და თავდადებულო შვილო, სამაგალითო პიროვნებავ, სასურველო მეგობარო, შენ შენი საქმით, რაინდული პათოსით, ნაღდი ქართველი კაცის პატიოსნებითა და სიალალით, სამშობლოს სიყვარულით, სახელიანად განვლე ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი წუთისოფელი, შენი სამკალი კაცურად მომკე. შენი ამქვეყნიდან ტრაგიკული წასვლით, საოცარია, მაგრამ ენითუთქმელ მწუხარებასთან ერთად, მოყვასთა შორის, გარკვეული პოზიტივი შემოიტანე, პოზიტივი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო ისე, რომ მამულის დვრიტა მუდმივად თან გდევდეს, იყო უანგარო, სიკეთით სავსე და ამ სიკეთეს ყველას მისხლობით უნაწილებდე, იყო სამშობლოსათვის საჭირო და გამოსადეგი კაცი, მაგალითი შვილობისა, ძმობისა, მამობისა, მეუღლეობისა , მეგობრობისა. შენ შენი ცხოვრებითა და ვაჟკაცური პოზიციით წიგნად გადუშალე სხვებს ჩვენებური ბრძენკაცის უკვდავი სიტყვები — „კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილადა“.

მეგობრები

საბიბლიოთეკო კვირეული

„წიგნი იმისთანა რამ არის, სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს, საიდან სად, კაცს კაცთან გალაპარაკებს“
ი. ჭავჭავაძე

ამიტომ მობრძანდით ბიბლიოთეკაში. იცოდეთ აქ მრავალი წლების მანძილზეა დაგროვილი ის ლიტერატურა, რომელიც თქვენ დაგეხმარებათ მეცნიერების ყველა დარგის ჭეშმარიტად შეცნობაში. აქტიურად ჩაერთეთ ბიბლიოთეკის ცხოვრებაში და პირისპირ აღმოჩნდებით ყველა დროისა და ხალხის პოეტების, მეცნიერების, მსახიობების, ისტორიკოსების საუცხოო ქმნილებათა წინაშე. შეიყვარეთ წიგნი, ის ხომ მთელი თქვენი ცხოვრების მეგობარი და თანამგზავრია.

ბიბლიოთეკაში მკითხველის წიგნის უზრუნველყოფასთან ერთად ხდება მისი ინტერესების შესანავლა ხელშეწყობა მოზარდი თაობის პროფესიული ცოდნის ამაღლებაში.

საინტერესო და შინაარსიანია აქ ჩატარებული შეხვედრები სხვადასხვა დარგის მუშაკებთან, პოეზიისა და ლიტერატურული საღამოები, წიგნის პრეზენტაციები და სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებები.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2016 წლის 16 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით საქართველოს ყველა მოქმედ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ბიბლიოთეკების კვირეული.

აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთო მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება. შედგენილი პროგრამით საინტერესოდ და შინაარსიანად იქნა აღნიშნული კვირეული დევიზით: „საინფორმაციო ტექნოლოგიები — ჩემი ბიბილოთეკის მოდერნიზაცია“. მასობრივი ღონისძიებები ჩატარდა ყვარლის მთავარ, შილდის და ახალსოფლის ბიბლიოთეკებში.

ახალსოფლის ბიბლიოთეკის მკითხველებმა (ბიბლიოთეკარი ლ.წმინდაშვილი) პოეზიის საღამოზე „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იოსებ ნონეშვილის შემოქმედებას. მხატვრული ოსტატობით წარმოადგინეს მისი ლექსები.ამასთან ერთად ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა თემაზე: „წიგნი შენი მეგზურია, გიყვარდეს და გაუფრთხილდი!“..

პოეზიის საღამოში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ეკო ვარდიაშვილმა, აკაკი თვალიაშვილმა, ნიკა ამრაზიშვილმა, თაზო ქევხიშვილმა, ქეთი მახათაძემ, მარი ხაბაზიშვილმა, ნინი ლაზარიშვილმა, თათია სიმონიშვილმა, ანი პავლიაშვილმა, ლაშა ვარდიაშვილმა, სალომე ჭაბაშვილმა და ქეთი ჯავახიშვილმა.

რაც შეეხება შილდის სასოფლო ბიბლიოთეკას, (ბიბლიოთეკარი გ. გელაშვილი) მისმა მკითხველებმა ამ მიმართებით კვირეულთან დაკავშირებით ჩაატარეს ლიტერატურული საღამო თემაზე: „ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ“... მკითხველებმა მეტად დამაჯერებლად, საინტერესოდ წარმოადგინეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. დარბაზში თვითეული დამსწრე იგრძნობდა თუ როგორ გააცოცხლეს მოზარდებმა ვაჟას ნაწარმოების თვითეული გმირი, როგორ აამეტყველეს ია თუ ნაკადული, გამხმარი მუხის ფესვები, თუ კლდიდან გადმომსკდარი ჩანჩქერი, ობოლი შვილის ნუკრი, თუ სხვა მრავალი.

ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა თემაზე: „რომ მომავალი ჩვენია, ამას რად უნდა მისანი?“

დასასრულს მკითხველებმა წარმოადგინეს ინსცენირება „შვლის ნუკრის ნაამბობი“-დან.

ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შილდის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ანა აღნიაშვილმა, მარიამ ლამაზოშვილმა, ქეთი თათეიშვილმა, ლიკა მათიკოშვილმა, ვაჟა ნიკოლოზიშვილმა, ლია ღელაღუტშვილმა, ნიკოლოზ ბერიძემ და სხვებმა.

ყვარლის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარმა ბიბლოთეკამ გრემის მუზეუმში მოაწყო რ. ჯაფარიძის წიგნი — მხევალი უფლისა“ — პრეზენტაცია. პრეზენტაციაში მონაწილე მკითხველებმა დამაჯერებლად განიხილეს ნაწარმოების თვითეული პერსონაჟი და წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები. პრეზენტაციის დროს განსაკუთრებული ხაზი გაუსვეს ქეთევან დედოფლის ერთგულებას, თავგანწირვას, უსაზღვრო სიყვარულს საკუთარი სამშობლოსადმი, მის ღრმა რწმენას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, რის გამოც მან ყოველგვარი ტანჯვა-წამება გადაიტანა და ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი ქვეყნის და ერის წინაშე.

პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღეს ყვარლის პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა: ნინი უსტიაშვილმა, ქეთევან მამულაშვილმა, რუსუდან ლესინსკიმ, ნინო ბეუქლიშვილმა, სოფო მამულაშვილმა, თეკლა ჭუნიაშვილმა და მარიამ ავაზაშვილმა.

კვირეულის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ახალგაზრდა პოეტი გიორგი დათუაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მალხაზ ხიზანიშვილი, რომელმაც ახალგაზრდებს მიულოცა კვირეულის მაღად დონეზე ჩატარება და ლექსით გამოხატა ქეთევან დედოფლის დიდი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. დასასრულს გრემის მუზეუმის დირექციამ მონაწილეებს უჩვენა თომა ჩაგელიშვილის ფილმი — „გრემი“, გრემის მუზეუმს რ. ჯაფარიძის წიგნი — „მხევალი უფლისა“ გადაეცა საჩუქრად.

მადლობა მუზეუმის დირექტორს ქალბატონ ნონა პატიაშვილს, მის ყველა თანამშრომელს ასეთი გულთბილი დახვედრისათვის.

საბიბლიოთეკო კვირეულის დასასრულს მოეწყო კონკურსი ნომინაციებში: სუპერმკითხველი და საუკეთესო მკითხველი. მთავარი ბიბლიოთეკიდან სუპერმკითხველის სტატუსი მიენიჭა ქალბატონ ელზა ასაბაშვილს, საუკეთესო მკითხველის — ნაზი ზაუტაშვილს, აქტიურ მკითხველებად აღიარებულ იქნენ ვერიკო ტაბატაძე, მზია ვარამიშვილი, შოთა მოლაშვილი და სხვები.

საბავშვო ბიბილოითეკის სუპერმკითხველად აღიარებული იქნა მარიამ ავაზაშვილი, საუკეთესო მკითხველად გვანცა ფუტკარაძე, აქტიურ მკითხველად კი ნუკი ბაბლომაშვილი, ლაშა მებზევიშვილი და სხვები.

იკითხეთ წიგნი, ის ყველა ჩვენგანს გადაარჩენს, როგორც დიდი პოეტი გრიშაშვილი ამბობდა:

„მიყვარდა კითხვა, წიგნს ვსახავდი მე თვალისჩინად,
მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა“.

მზია აბესაძე,
ყვარლის საბიბლიოთეკო გაერთიანების გამგე

სენსაციური აღმოჩენა: კავკასიაში პირამიდები აღმოაჩინეს

1874 წელს კავკასიას ცნობილი ინგლისელი ალპინისტი ფლორენს კროუფორდ გროუვი ესტუმრა. მან პირველმა აღნიშნა, რომ კავკასიის ერთერთი მთა „სწორი კონუსებრი ფორმით გამოირჩევა“. ეს მთა ყაბარდო–ბალყარეთში ჩერეკის ხეობაში მდებარეობს. ჩატარებული ექსპედიციების წყალობით დღეს უკვე ცნობილია, რომ ამ პირამიდის შიგნით გვირაბებია.

მალტას კუნძულიც მდიდარია მიწისქვეშა გვირაბებით, აქედან ყველაზე ცნობილი მიწისქვეშა ჰიპოგეს საკულტო ტაძარია. ეს ჩიხების და ოთახების გიგანტური სამ სართულიანი სიტემაა. იატაკის დონეზე კედლებში იდეალური ფორმის მრგვალი ხვრელებია, რომელთა მეშვეობით ოთახში განსაკუთრებული აკუსტიკა იქმნება. ამომავალი ბგერითი რყევების კომბინაციამ შესაძლოა ადამიანი ტრანსულ მდგომარეობაში შეიყვანოს. ჰიპოგეოში ჩატარებულმა კვლევებმა მეცნიერები შოკში ჩააგდო: მიწისქვეშა ბგერითი სიხშირე შუმანის რეზონანსის დიაპაზონს აღემატება. ანუ, ფიზიკის ყველა კანონის თანახმად, სიხშირე მერყეობს 7,8–დან 43 ჰერცამდე. ჰიპოგეაში კი ეს მაჩვენებელი 11 ჰერცს შეადგენს! მეცნიერებმა დაამტკიცეს,

იალბუზის მახლობლად გამაოგნებელი აღმოჩენა მოხდა. მკვლევარებმა ზვავის ქვეშ მოყოლილ ვერმახტის რაზმს მიაგნეს, რომლის მისიის შესახებაც მონაცემები გერმანულ და საბჭოურ არქივებში ვერ მოინახა. დაღუპული ჯარისკაცების პირად ნივთებში ანენერბეს (მესამე რაიხის ოკულტური ქვედანაყოფის) საზოგადოების სიმბოლიკიანი ბეჭედი და ჩემოდანი იპოვეს. ნალჩიკის სპელეოლოგმა არტურ ჟემუხოვმა სამარხის მახლობლად 78 მეტრის სიღრმის გამოქვაბული აღმოაჩინა. მისი ვარაუდით, გამოქვაბულის შახტა მიწისქვეშა ქალაქში მიდის, რომლის გვირაბები იალბუზამდე და სამხრეთ კავკასიამდე გრძელდება. მეტიც, მიწისქვეშა ქალაქი პირამიდების ქვეშ არის აშენებული.

საიდუმლო გვირაბები მეცნიერებმა ასევე სხვა ძველი ნაგებობების ქვეშაც აღმოაჩინეს: ეგვიპტეში გიზას და ცენტრალურ ამერიკაში ტეოტიუკანის პირამიდების ქვეშ. მეტიც, თანამდეროვე ტექნოლოგიების დახმარებით პროფესიონალები და მოყვარულები აქამდე მიუწვდომელ ადგილებს იკვლევენ. კოსმოსიდან განხორციელებული ინფრაწითელი გადაღების ტექნოლოგიის მეშვეობით ეგვიპტეში ახალი პირამიდები აღმოაჩინეს, რომლებიც მიწის ქვეშ საკარის რაიონშია დაფარული. მინიატურული რობოტები დღემდე მიუწვდომელი გვირაბების გამოსახულებებს გადმოსცემენ, რომლებიც თურქეთში, ისრაელში, ბულგარეთში, ბონიაში არიან მიმოფანტულნი. აღმოჩნდა, რომ

დედამიწა, ასე ვთქვათ, მიწისქვეშა გვირაბების ქსელშია მოქცეული.

მიწისქვეშა გვირაბები გიზას უდაბნოში, პირამიდების ქვეშაა; გვირაბების უზარმაზარი ქსელია პერუს, ბოლივიის, ბრაზილიის, კოლუმბიის, არგენტინის, ჩილეს ქვეშ. მსგავსი სისტემები ჩინეთის პირამიდების ქვეშაც აღმოაჩინეს. ყველა ეს გვირაბი ხელით ნაკეთები, ქვაში გამოთლილი ნაგებობებია.

რუსი მეცნიერი, სპელეოლოგი ვიქტორ კოტლიაროვი 20 წელზე მეტია კავკასიის მთების შესწავლითაა დაკავებული. მან არაერთი მტკიცებულება მოიპოვა იმისა, რომ დედამიწის ამ ნაწილში პირამიდებია. მეცნიერის მტკიცებით მათი სილუეტი ხშირად ტყითაა დაფარული, ხოლო წვერი ჟამთა განმავლობაში ჩამოშლილია. რიგ შემთხვევაში პირამიდის სილუეტის ამოცნობა უბრალოდ შეუძლებელია. ყაბარდო–ბალყარეთში, ხარა–ხორას სამთო კომპლექსთან მან არტურ ჟმუხოვთან ერთად ზემოთ ნახსენები 78 მეტრიან გვირაბში შესასვლელი აღმოაჩინა.



ტრანსულ მდგომარეობაში შეიყვანოს. ჰიპოგეოში ჩატარებულმა კვლევებმა მეცნიერები შოკში ჩააგდო: მიწისქვეშა ბგერითი სიხშირე შუმანის რეზონანსის დიაპაზონს აღემატება. ანუ, ფიზიკის ყველა კანონის თანახმად, სიხშირე მერყეობს 7,8–დან 43 ჰერცამდე. ჰიპოგეაში კი ეს მაჩვენებელი 11 ჰერცს შეადგენს! მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ აქ ყოფნის დროს თავის ტვინის ნახევარსფეროების მუშაობის ფუნქციები ირღვევა.

მსგავსი აკუსტიკური ეფექტი აღმოჩენილია სხვა მიწისქვეშა კომპლექსებშიც – ისრაელში (ბეტ გავრინი), ბულგარეთში (პროხოდნა), თურქეთში (ფრიგიის დაბლოები)ზოგიერთი გამოქვაბულის თაღების სიმაღლე 30 მეტრს აღწევს, აქ დიდი დარბაზებია, მრავალსართულიანი გვირაბები, გამოკვეთილი კიბეები ერთ–ერთი ვერსიით, პირამიდები დამცავ ფუნქციასაც ითვისებდნენ. მათ წვერზე იარაღი არავის აუტანია, მაგრამ მეგალიტიური კომპლექსი მოქმედებდა, როგორც აკუსტიკური დანადგარი, მოწინააღმდეგეს ყოველგვარი გასროლის გარეშე ანეიტრალებდა.

1945 წლის გაზაფხულზე აშშ–ს სამხედრო– საჰაერო ძალების მფრინავი ჰიმალაებში რეიდს ასრულებდა, მცირე ტექნიკური ხარვეზის გამო მას სიმაღლის დაკლება მოუწია, რა დროსაც გიგანტური, მზეზე მბრწყინავი პირამიდა დაინახა. თუმცა ამ საიდუმლოს ამოხსნა ვერ მოხერხდა – ჩინეთის ხელისუფლება არ მიესალმება ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ჩატრებას. ჩინეთის ტერიტორიაზე ასობით მცირე პირამიდაა, ოთხწახნაგოვანი და წაკვეთილი წვერებით. ზოგიერთი მათგანი ეროზიამ დააზიანა კიდეც, მაგრამ ჩინეთი საგულდაგულოდ მალავს ყოველგვარ ინფორმაციას მათ შესახებ.

სწორედ ამიტომ ეძახიან მას ლიანა „ექიმს“ და დედა „ტერეზას“

სამედიცინო სფერო ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომლის წარმომადგენლები მუდმივად ზრუნავენ ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე. მათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია მედდების საქმიანობა. მათ ექიმის მარჯვენა ხელად წოდებულებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ და რამდენჯერ მათი ნერვების და ძალისხმევის ფასად სიცოცხლე შენარჩუნებია ავადმყოფს. ახალსოფლელი მედდა ლიანა კურტანიძე სწორედ ერთ-ერთი მათგანია, რომელიც ათეული წლები ღირსეულად ემსახურა ახალსოფლის მოსახლეობას. სწორედ ამიტომ ეძახიან მას ლიანა „ექიმს“ და „დედა ტერეზას“. ახალსოფელში თუ მის თემში შემავალ სოფლებში თითქმის ყველა იცნობს მას, ყველა ემადლიერება, ყველა დავალებულია მისი კეთილშობილებით.

წლებმა ვერ დაღალეს ქალბატონი ლიანა, ვერც მძიმე საქმიანობას უმოქმედია მის ჯანმრთელობაზე. მას ღიმილით ახსენდება თავისი პირველი ნაბიჯები, თუ როგორ შეაბიჯა მედმუშაკთა დიდ ოჯახში, თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულმა. მან დიდი გამოცდილება მიიღო პროფესორ დ. საყვარელიძესთან და პროფესორ ავლიპ ზურაბიშვილთან მუშაობის პერიოდში, ასევე ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის საავადმყოფოში, ოთარ ღუდუშაურთან საოპერაციო დად მუშაობის დროს.

ბედმა თავის სოფელში მოაბრუნა, შექმნა ოჯახი და კვლავ თავის საყვარელ საქმიანობას შეუდგა, მუშაობა დაიწყო ყვარლის რაისაავადმყოფოს პედიატრიის განყოფილებაში მედდად. ყვარლის რაიონის ბევრ სოფელში მოუწია ავადმყოფების გამოჯანმრთელებაზე ზრუნვა და ყველგან დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, ბოლოს კი ახალსოფლის ამბულატორიაში დამკვიდრდა, სადაც მუშაობს დღემდე, პატივს სცემენ და უყვართ თანამშრომლებს.

სამსახურის პარალელურად ლიანა მუდმივად ჩართული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში, იყო ახალსოფლის საკრებულოს წევრი.

ახალსოფელმა შეიყვარა მზრუნველი ადამიანი, დიდ პატივს სცემენ, როგორც პიროვნებას, როგორც მედიცინის მუშაკს. ამიტომაც ეძახიან მას „დედა ტერეზას“, „სასწრაფოს“. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ვინ არის გასაჭირში, რა ეროვნებისაა ის, რომელი რჯულის.

რადგან მთავრობამ დააფასა მედდის როლი მედიცინაში და დააწესა ექთნის დღე — 16 მაისი, ჩვენ გვსურს სახალხოდ მივულოცოთ ეს საპატიო დღე ქალბატონ ლიანას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობას ვთხოვთ, რომ ეს ქალბატონი ჯილდოზე წარადგინოს, ვინაიდან 68 წლის ქალბატონი, რომელსაც 50 წლის განუწყვეტელი სტაჟი აქვს სამედიცინო სფერეოში, წახალისებას უდავოდ იმსახურებს, მან უნდა იფიქროს, რომ მის განვლილ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია და მადლიერი ჰყავს თანასოფლელები.

შენი მოსიყვარულე თანასოფლელები

რა ინფორმაციას შეიცავს ხილზე დატანილი ეტიკეტი

ხილის და ბოსტნეულის ყიდვის დროს ხშირად შეგვინიშნავს მათზე დატანილი შტრიხკოდიანი სტიკერი. თუმცა, თითქმის არავინ კითხულობს მასზე არსებულ ინფორმაციას.

მსგავსი სახის სტიკერები ძირითადად ახლავს ეგზოტიკურ ხილს, ისეთს, როგორიცაა მაგალითად ბანანი და ფორთოხალი. თუმცა, იგი შესაძლოა, შენიშნოთ ვაშლზე ან ატამზეც. როგორც წესი, ეტიკეტებზე აღნიშნულია მწარმოებლის სახელი, წარმოების ქვეყანა და გარკვეული ციფრები. საინტერესოა, რისი მაჩვენებელია აღნიშნული კოდები?

თუ სტიკერზე დატანილია ოთხნიშნა კოდი, რომელიც იწყება ციფრებით 3 და 4, ეს ნიშნავს იმას, რომ ხილი მოყვანილია სასუქებითა და პესტიციდებით.

ხუთნიშნა კოდი, რომელიც იწყება ციფრით 9, გვაწვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ხილი მოყვანილია ტრადიციული მეთოდით. ეს ორგანული ხილია.

ხოლო ხუთნიშნა კოდი, რომელიც იწყება ციფრით 8, მიგვითითებს იმაზე, რომ ეს პროდუქტი გენმოდიფიცირებულია. კვლევების თანახმად დაადგინეს, რომ ყველაზე ხშირად ამ პროდუქტთა სიაში შედის ისეთი ხილი, როგორიც არის ბანანი, ნესვი, პაპაია.

გერმანული კოლონია საქართველოში — რა ისტორიას ინახავს თბილისთან ახლოს მდებარე სოფელი

თბილისიდან სულ რაღაც 29 კილომეტრში ძველი გერმანული დასახლებაა. ახლა იქ გერმანელები აღარ ცხოვრობენ.

თუმცა, გერმანული სტილის სახლები, გერმანული ოჯახების უძველესი ნივთები, მარანი, აბანო და ლუთერანული ეკლესიაც კი ამ სოფელში დღემდე შემორჩენილია. ეს თეთრი წყაროს რაიონის სოფელი ასურეთია.

ასურეთში გერმანელები თითქმის ორი საუკუნის წინ, 1817 წელს, რუსმა ოკუპანტებმა ჩაასახლეს და გერმანული კოლონია შექმნეს. გერმანელებმა სოფელს ელიზაბეტალი დაარქვეს და გაუვალი ტყე აყვავებულ სოფლად აქციეს.

გერმანელებს ამ სოფელში საუკუნეზე მეტი უცხოვრიათ, 1941 წელს კი მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ისინი ერთ ღამეში სტალინის ბრძანებით გადაუსახლებიათ. იმავე წელს, აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩამოასახლეს ზემო რაჭის, კერძოდ, ონისა და ამბროლაურის მოსახლეობა და გერმანელების დატოვებულ სახლებში გადაანაწილეს. მას შემდეგ სოფელი ასურეთი რაჭველების სოფელია.

ასურეთის მცხოვრები და ქშ.-ს მასპინძელი, მანანა წულუკიძე ამბობს, რომ მისი წინაპრებიც რაჭიდან ასურეთში 1941 წელს გადასულან საცხოვრებლად.

„საბჭოთა რეჟიმი ოჯახებს ეუბნებოდა, თუ თქვენ გადახვალთ საცხოვრებლად ასურეთში, მაშინ თქვენს შვილებს ომში არ წავიყვანთო. ამიტომაც წამოსულან ჩემი წინაპრები თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დაპირების მიუხედავად ომში მაინც მიჰყავდათ მამაკაცები.

როგორც მსმენია, ბევრ რაჭველს აქაური კლიმატური პირობები ვერ აუტანია და უკან დაბრუნებულა. თუმცა, მათი დიდი ნაწ. საბოლოოდ აქ დამკვიდრდა. ამასთან, ახალდაბადებული ბავშვები მთის ჰავის შემდეგ აქაურ ჰავას ვერ ეგუებოდნენ, რის გამოც იღუპებოდნენ“.

რაჭიდან ჩამოსული მოსახლეობის დიდ ნაწილს გერმანული სახლებისთვის ხელი არ უხლია.

მათმა ნაწილმა ისინი შეაკეთა, თუმცა, გერმანული სტილი და იერსახე ყველა საცხოვრებელ სახლს დღემდე შენარჩუნებული აქვს.

ამასთან ყველა სახლში გერმანელების მიერ დატოვებული ერთი ნივთი მაინც მოიპოვება. მათ შორის არის საყოფაცხოვრებო ნივთები, ავეჯი, წიგნები, ნახატიც კი და ყველასთვის ცნობილი საკერავი მანქანა „ზინგერი“.

ქშ. - სთან საუბრისას, ერთ-ერთი ადგილობრივი, ლედი აღნიშნავს, რომ გერმანელებს ირიგაციის სისტემა, გზები და სხვა ინფრასტრუქტურა კაპიტალურად ჰქონდათ აშენებული.

„მაშინ ისეთი ტექნოლოგიები არ იყო, როგორც ახლა, მაგრამ გერმანელებს ორი საუკუნის წინ გზა ფილა ქვებით ჰქონდათ მოპირკეთებული. ასევე ქუჩებს მოუყვებოდა წყლის არხები. რომელიც ასევე სულ ქვით იყო გაკეთებული“.

ამასთან, სოფელში შემორჩენილია უძველესი აბანო, რომელიც ახლა კერძო საკუთრებაშია.

როგორც ასურეთის დღევანდელი მცხოვრებლები ამბობენ, აბანო იყო კაპიტალურად აშენებული, არაერთი განყოფილებითა და გოგირდის წყლით, რომელიც 80-იან წლებშიც კი ფუნქციონირებდა.

სოფელში შემორჩენილია ასევე 1871 წელს აშენებული ლუთერანული ეკლესიის შენობაც, რომელიც ნაწილობრივ განადგურებულია.სოფლის ბოლოში კი გერმანელთა სასაფლაო მდებარეობს. ადგილობრივების თქმით, გერმანელების საფლავებისთვის ხელი ამ დრომდე არავის უხლია. თუმცა, ისინი მოუვლელია და ეკალ-ბარდით არის დაფარული. წლების წინ საფლავის ქვების ნაწ. აქტივისტებს შეუგროვებიათ და ერთი პატარა სიმბოლური მოედანი გაუკეთებიათ, შემდეგ კი ქვებზე წარწერებიც განაახლეს.გერმანელმა კოლონისტებმა ასურეთში ცხოვრების პერიოდში ქართველებს ახალი ვაზის ჯიშიც დაუტოვეს, სახელად შალა. ამ სახეობის ყურძენი ასურეთში დღესაც პოპულარულია“.გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთი გერმანელი, რომლის გვარიც იყო შალი, მიმდებარე ტერიტორიებზე დადიოდა და ვაზის ჯიშებს აგროვებდა, შემდეგ აფესვიანებდა და აკვირდებოდა. მას ერთ-ერთი ყურძნის ჯიში მოეწონა და გააშენა. ასე შემოგვრჩა შალის ჯიშის ყურძენი, რომლის სახელიც მის გვარს უკავშირდება“, - ამბობს მანანა წულუკიძე.ძველ გერმანულ სახლებში შემორჩენილია სარდაფებიც, სადაც ღვინოს ინახავდნენ. ადგილობრივები ამბობენ, გერმანელებმა თავიანთი ცოდნის, გამოცდილების, უნარებისა და თავის მხრივ საქართველოს მდიდარი რესურსების წყალობით, სოფელი ააყვავეს. გადმოცემის თანახმად, იმ დროისთვის ეს ტერიტორია ერთ-ერთი გამორჩეული და ყველაზე მდიდარი იყო რაიონში და აღმოსავლეთ საქართველოში.სოფელ ასურეთს დღესაც დიდი რესურსი აქვს. მისი ისტორიიდან გამომდინარე, აქ შესაძლებელია ტურისტების დიდი ნაკადის მოზიდვა. ამ მიზნით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ინიციატივით, დაწყებულია მუშაობა პროექტზე, რომელიც ინფრასტრუქტურის განახლებასა და სახლების რეკონსტრუქციას ითვალისწინებს.

„ამ ეტაპზე გაკეთებულია ცენტრალური გზის, ქვით მოპირკეთების, ღობეების აღდგენის და 9 აპრილის ქუჩის მოასფალტების დაპროექტება. თვის ბოლოსთვის კი უკვე სამუშაოები უნდა დაიწყოს.რაც შეეხება სახლების რეკონსტრუქციას, მათ დააპროექტებაზე გერმანელი სპეციალისტი მუშაობს. სამომავლოდ საუბარია სამ სახლზე, ლუთერანულ ეკლესიასა და სასაფლაოზე. გერმანელი რესტავრატორები 2015 წლის თებერვალში იმყოფებოდნენ, მათ მასალების ნიმუშები წაიღეს. თუმცა, დაპროექტება ძალიან ხანგრძლივი პროცესია“, - განაცხადა თეთრიწყაროს გამგებელმა, ბესიკ წიკლაურმა.როგორც სოფელ ასურეთის გამგებელმა, ომარ გიორგობიანმა ქშ.-სთან საუბრისას აღნიშნა, ასურეთის რეკონსტრუქციის საკითხზე სოფელში გერმანელები არაერთხელ იყვნენ ჩამოსულები. მათ შორის იყვნენ ბუნდესტაგის დეპუტატებიც.

სამომავლოდ პროექტის ფარგლებში მოიაზრება მუზეუმის გახსნაც, რომელიც ლუთერანულ ტაძარში უნდა განთავსდეს.ადგილობრივი მთავრობის ინფორმაციით, ექსპონატები მოსახლეობაში უხვად მოიპოვება და ისინი თანახმა არიან ისტორიული ნივთები მუზეუმს გადასცენ.

იგეგმება ასევე მოედნის მშენებლობაც, რომელსაც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, დაერქმევა ელიზაბეტალი (ასურეთის ძველი სახელი).

თამთა ჯიჯავაძე

ნეგუსა მოლაშვილი

ნამუსიც კარგი საქონელია!

(ვუძღვნი თანამედროვე პოლიტიკოსებს)

მე მინდა თქვენმა გულმაც გაიგოს
ამ ჩემი სულის ბორგვა-გოდება,
მე პოეტი ვარ და იმასა ვწერ,
რასაცა ვფიქრობ და მაგონდება.

თქვენ რომ გიყურებთ ავადა ვხდები,
სული მიშფოთავს, გული ღონდება: —
ხალხის კისერზე რომ ჩამომსხდარხართ
რატომ არ გესმით მათი გოდება!

ამ ხალხს სიცოცხლეს რატომ უწამლავთ?
ისედაც ჟამი ერთი პეშვია,
თავზე ლეკები აღარ გვესხმიან,
მამული თქვენი სათარეშოა.

ხალხის ბიუჯეტს, როგორც საქათმეს,
შემოსჩვევიხართ, როგორც მელია,
ცოტა რამ ხალხსაც გაუნაწილეთ,
ნამუსიც კარგი საქონელია!

პარლამენტში რომ ჩაბუდებულხართ,
ვითომც საქვეყნო ბედი განუხებთ?
ხალხი ისედაც ბოღმით იხრჩვება,
თქვენ კი მაქედან უჭერთ მარწუხებს.

ხალხი ფეხითაც ძლივსღა დაღოღავს,
თქვენ კი დაიდგით ყველამ ჯიპები,
ჩვენი ქონებით გასუქებულებს
ღამის დაგემხოთ თავზე ღიპები.

თქვენ თქვენს ცხოვრებას მიაროხინებთ
ლუდის ქაფით და ხამსას ჭამითა,
სანყალი ხალხი მშიერი კვდება
და ბევრის სულიც ცაში გაფრინდა.

ვხედავ არაფრის თავი არა გაქვთ,
არც ომის, არცა ქვეყნის მართვისა,
არცა ხართ ხალხის პურის მშოვნელი,
არცა დამშლელი მავთულხლართისა.

ხალხი სიბნელის გზებით გვატარეთ,
ვერ გაგვიკვლიეთ გზა სინათლისა,
დაგვიწყებიათ ათივე მცნება,
მაგინებელნო, ქრისტეს კვართისა.

მანდ ერთმანეთს რომ თავპირს ალეწავთ,
რა მენაღვლება, ჯანი გავარდეს!
მაგრამ იმაზე რას მიპასუხებთ,
ქურდებმა კვლავ რომ გაინავარდეს?

რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს,
მე ვერ ვიმღერებ მაგ თქვენს დაკრულზე,
სჯობდა, რომ ხალხზე მეტი გეზრუნათ,
ვიდრე იზრუნეთ პრეზერვატივზე.

ვხედავ, ქვეყანამ თავი დაკარგა,
ხალხს აღარა ჰყავს თავის მედროშე
და ჯიბეების გასასქელებლად
ზევით მიძვრება ყველა მეგროშე.

თქვენ თუ გგონიათ, რომ დედამიწა
თქვენთვისაბრუნავს,თქვენთვის ტრიალებს...
დაიმახსოვრეთ, დრო დაგვიდგება...
და ყველას ერთად გაგვატიალებს.

ჩვენს დედაქალაქს, ამ ჩვენს თბილისსაც,
შემოსჩვევია ვიღაც მელია,
მაგრამ მაგასაც, უნდა ახსოვდეს,
ნამუსიც კარგი საქონელია!

იქნებ ერთხელაც ეს ჩემი ხალხი
ყალყზე შედგება, როგორც ულაყი,
მერე ნურავის გაგიკვირდებათ,
თუ ამოხეთქავს სისხლის ბულაყი.

და მაინც... მინდა დაგამუნათოთ,
ხალხის გაძღოლა ვიცი ძნელია,
დაიმახსოვრეთ, მაინც გახსოვდეთ,
ნამუსიც კარგი საქონელია!!!

ხალხო, თვითონაც ბევჯერ ვტყუივართ,
ჩვენც არ გვაწყენდა თითო მათრახი,
ჩვენ ჩვენის ხელით თავზე დავისვით
ყველა ქურდი და ყველა ჩათლახი!

P.S. ნეტავ ისეთი ჩვენ რა გვჭირს,
რომ შუბლით მიწას ვეხებით,
ძაღლსა და ყველა მამაძაღლს
უნდა ვულოკოთ ფეხები?!

შენი სიტურფით პატარავ, ვითმენ ჭირსა და მწარესა

ღამაზი ხარ, მშვენიერი,
ღამაზად ნაბავ თვალებსა,
ტანი მიგიგავს ალვის ხეს,
სახე მიგიგავს მთვარესა.

შენსკენ მოვმართავ ყოველსა,
ამ ჩემს სულიერ ძალებსა,
დავეძებ, შენში ვპოულობ
მარგალიტებს და ლალებსა.

შემოიპარე ჩემს გულში,
მილენავ გულის კარებსა,
ვილაპარაკოთ პატარავ,
ხან ის ვიუბნოთ, ხან ესა.

გადავეხვიოთ ერთმანეთს,
შუქი მოვტაცოთ მთვარესა,
შენი სიტურფით პატარავ,
ვიტან ჭირსა და მწარესა.

შენა ხარ ყოვლად მკობილი,
ამ კახეთისა მხარესა,
ბევრმა ჩემს დასაჩოქებლად
ხმალი, ხანჯალი გალესა.

თვითონ დაჩოქდნენ, ჭირისა
ფიალა გამოსცალესა...

სალამი შილდელებს

(ნეკრესში თქმული)

ჰე, შილდელებო, მოგესალმებით,
მივესალმები ამ თქვენს მთა-ველებს,
მივესალმები ამ თქვენს სალოცავს,
მივესალმები ახლებს და ძველებს.

მეც ხომ თქვენსავით ჩელთმა გამზარდა,
მეც უჭარაში ავიდგი ფეხი,
ვერ მაშინებდა მგლების ყმუილი,
ვერ მაშინებდა ელვა და მეხი.

მეც სეფორაში წყალს ვაგუბებდი,
ქვებით მეც ბევრჯერ მითევზავია,
სუყველას მადლი თქვენ შეგენიოთ,
რაც რომ ამ ქვეყნად სალოცავია.

ჩემშიც შილდური სული ჩუხჩუხებს,
თქვენი სოფლიდან გამოქცეული,
ადრე თუ თქვენში მუხად ვიდექი,
ახლა მუხა ვარ წამოქცეული.

ვერ შევეჩვიე უცხო გარემოს,
როგორც ღამურა დავიარები,
ვერ მოვირჩინე ძველი ჭრილობა,
ძნელი ყოფილა ნაიარები.

მივესალმები ამ ჩვენს ხუბერას
მივესალმები ამ ჩვენს სამალეს,
მოდით და ჩემთვის ჭიქა ასწიეთ,
მიმაბარებენ როცა სამარეს.

მივესალმები ამ ჩემს მეზობლებს,
ვინც თავის სითბო გამინაწილა,
მივესალმები ჩემს ძველ ძმაკაცებს,
დავიწყებისთვის ყველამ გამწირა.

ბევრი ქვეყანა შემომივლია,
ცუდმა ცხოვრებამ სად არ მათრია
სეფორის წყალში ვარ განბანილი,
ნეკრესა იყო ჩემი ნათლია!

ინატრე და... მარწყვით იანვარშიც ისიამოვნებ

„მარწყვის მუდმივმსხმოიარე ჯიშების მოყვანა მთელი წლის განმავლობაში შეიძლება სათბურში, ოღონდ ქართველ ფერმერებს მეტად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებზე“

მარწყვი მაისის პირველი რიცხვებიდან შემოდის და თვის ბოლოს მოსავლიანობა პიკს აღწევს. ეს მრავალწლიანი კენკროვანი კულტურა ჩვენს ქვეყანაში კარგად არის განვითარებული და შარშან, მაისის მიწურულს, საქართველოში მარწყვის ფესტივალიც კი გაიმართა. თუ რამდენიმე მარტივ რეკომენდაციას გავითვალისწინებთ, მარწყვის მოყვანა ყველა მოყვარულ მებაღეს შეეძლება.

ანდრო ხეთერელი, საქართველოს აგრარიკოსთა მოძრაობის წევრი: — მარწყვის ზოგი სახეობა სეზონზე ერთხელ გვაძლევს ნაყოფს, ზოგი კი უწყვეტად, მთელი წლის განმავლობაში. ასეთ ჯიშებს რემონტანტულს უწოდებენ. მაგალითად, „დედოფალი ელისაბედი“ მარწყვის რემონტანტული სახეობაა, აქვს მსხვილი წითელი ნაყოფი; „ბრაიტონი“ მდგრადია მავნებლებისა და ავადმყოფობის მიმართ, ყინვაგამძლეა, აქვს მოწითალო-ნარინჯისფერი მსხვილი ნაყოფი; ადრეული ჯიშია „განთიადი“, რომელიც მაღალ ბუჩქებად იზრდება და საშუალო ზომის, წითელი, მომჟავო-მოტკბო ნაყოფი აქვს, ის ყინვაგამძლეობით გამოირჩევა და ბევრი მორწყვა სჭირდება; „საფესტივალო“ კი ნაყოფს იძლევა სეზონის შუა პერიოდიდან, ყინვაგამძლეა, მდგრადია ავადმყოფობის მიმართ და მსხვილი, წითელი ნაყოფი აქვს; ძალიან მსხვილია „გიგანტელას“ ნაყოფი, რომელიც ჰოლანდიური სელექციისაა.

საქართველოში, ძირითადად, გავრცელებულია მარწყვის ორი ჯგუფი: ჯიშები, „ლენინაკანი“, „ლენინაკანი 1“, „მისოვკა“, „როზოვაია“ და სხვ.

— როგორ უნდა შევარჩიოთ ნაკვეთი მარწყვის დასარგავად?

— სასურველია, ნაკვეთზე არ იყოს ხეები და ბუჩქები, რათა ნარგავები არ დაჩრდილონ. შესაძლოა, მიწა ოდნავ დაქანებულიც იყოს, ეს კარგია ზედმეტი წყლის გადინებისთვის. არ არის რეკომენდებული მათი დარგვა დაჩრდილულ დაბლობებში, ცივი ჰაერის გამო ყვავილები შეიძლება დაზიანდეს. სასურველია, მარწყვი დავრგოთ იქ, სადაც ადრე გვეთესა ხახვი, მწვანილი, ან მარცვლეული კულტურები. არ შეიძლება მისი იქ დარგვა, სადაც იყო კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, რათა ამ მცენარეების დაავადებები არ დაემართოს.

— ნიადაგი როგორ უნდა მოვამზადოთ?

— მარწყვისთვის ყველაზე კარგია შავი, მომჟავო ნიადაგი. თუ ნიადაგი შეუფერებელია, შესაძლებელია მისი დამუშავებაც. მაგალითად, აერაციის გასაუმჯობესებლად ნიადაგში შეაქვთ ორგანული სასუქი (12-15 კგ/კვმ). ზედმეტი წყლის გადინებისთვის თხრიან რუებს. 1-2 მეტრიან მონაკვეთზე შეაქვთ სასუქი: ნეშომპალა — 8-10 კგ, სუპერფოსფატი — 80-100 გ, კალიუმის მარილი — 50-60 გ.

მარწყვის გაზაფხულზე დასარგავად სასუქი წინა წლის შემოდგომით შეაქვთ, ხოლო შემოდგომით დასარგავად — გაზაფხულზე. ერთ ადგილას მარწყვი 3-4 წელი მოჰყავთ.

— როდის არის უმჯობესი მარწყვის დარგვა?

— გაზაფხულზე, რაც შეიძლება ადრე, აპრილის პირველ რიცხვებში ჯობს, ასე ის განვითარებით წინა წლის შემოდგომაზე დარგულს არ ჩამორჩება. ცოტა მოგვიანებით დარგული მარწყვი (აპრილის ბოლოს — მაისის დასაწყისში) ნელა ვითარდება. თუ ზაფხულში დავრგავთ (ივლისი-აგვისტო), მოსავალს მომდევნო წელს აიღებთ. ზაფხულში მარწყვის დარგვა უმჯობესია მოღრუბლულ ან წვიმიან ამინდში.

შემოდგომაზე მარწყვის დარგვა სასურველია 20 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე.

— მარწყვი უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში მოდის, არადა შარშან, ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში, ბევრი მარწყვი მოიყვანეს დასავლეთშიც. სათანადო მოვლით მარწყვის მოყვანა ყველა რეგიონში შეიძლება?

— აღმოსავლეთით მარწყვისთვის საუკეთესო გეოგრაფიული არეალია მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადი მდინარეების ხეობებში (ბორჯომის, ქსნის, არაგვის, გლდანის, ლოჭინის და სხვ.) განლაგებული ტერასები და აგრეთვე მთიანი ზონა (თიანეთი, კოჯორი, წყნეთი, კიკეთი და სხვ.). თუმცა საქართველოში მარწყვის მოყვანა მეტნაკლები წარმატებით შესაძლებელია ყველა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, რომელიც ზღვის დონიდან 350-დან 1300 მ-მდეა.

— არ შეიძლება, მარწყვი მთელი წლის განმავლობაში მოვიწოთ და ადგილობრივი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ?

— სათბურში მთელი წლის განმავლობაში შეიძლება მარწყვის რემონტანტული ჯიშების მოყვანა. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ საკუთარი მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილოს, ოღონდ ამისთვის საჭიროა, ქართველ ფერმერებს მეტად მიუწვდებოდეთ ხელი მარწყვის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

მარწყვის ჩითილის დარგვა

მარწყვის ჩითილი თესლიდან გამოჰყავთ (მარწყვის ნაყოფს რომ წიპწები აქვს,

სწორედ ეს გახლავთ თესლი). ეს სპეციფიკური პროცესია, ამიტომ გირჩევთ, გამოყვანილი ჩითილი შეიძინოთ. მისი დარგვა ძალიან მარტივია. ნიჩბით თხრიან ორმოს. ჩითილს ათავსებენ ორმოში ისე, რომ მისი შუა ნაწილი ნიადაგის ზედაპირის დონეზე იყოს (იხ. სურათი). შემდეგ ფესვებს აყრიან მიწას და ნიადაგს ხელით ტკეპნიან. დარგვისთანავე კარგად რწყავენ (0,5 ლ ერთ ნარგავზე). მორწყვა საჭიროა ყოველ 7-10 დღეში, სანამ ნარგავი არ გამოცოცხლდება.

შავი მარწყვი

ჩინეთში გამოიყვანეს ე.წ. შავი მარწყვი, რომლის თესლის გამოწერა და შეძენა ინტერნეტითაც შეიძლება. სინამდვილეში, ამ ჯიშის ნაყოფი შავი კი არა, ძალიან მუქი იისფერია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჯიშის გამოყვანისას გენური მოდიფიკაციებისთვის არ მიუმართავთ.

თეთრი მარწყვი

„პაინბერი“ — თეთრი მარწყვი ანანასის გემოთი. ამ უნიკალური ჯიშის სამშობლო სამხრეთი აფრიკაა. გადაშენების პირას მყოფი მცენარე ჰოლანდიელმა ფერმერებმა გადაარჩინეს. „პაინბერის“ მწიფე ნაყოფი თეთრია და წითელი წიპწა აქვს.

kvirispalitra.ge

ოთარ ქანდაურიშვილის გახსენება



ბედნიერი ოჯახი გვქონდა, გვიხარია შვილიშვილის დაბადება, მომავლის გეგმებზე ვფიქრობდით, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ავბედითი დღე გაგვითენა — 31 იანვარს, მოულოდნელად გამოაკლდი ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, თანამშრომლებს და მეზობლებს. შინაგანი მორიდება, თავაზიანობა და მომღიმარი სახე უაღრესად გამკობდა და ამიტომაც ყველას უყვარდი და უყვარხარ ახლაც.

ოთო, როგორ გიხაროდა ნანატრი შვილიშვილის დაბადება! მისი მოფერებით გული ვერ იჯერე... როგორ დაგვაკლდი! ახლა, როცა ჩვენს გვერდით აღარა ხარ, უფრო მეტად ვიგრძენით, რა დიდი პიროვნება ყოფილხარ. მაისის თვე რომ დაიწყებოდა, როგორ გიხაროდა, შენ ხომ მაისში ხარ დაბადებული. ოთო, დაბადების დღეს გილოცავთ შენი ოჯახი. ოთო, მანდ, სამუდამო სასუფეველში, სადაც არ არის ჭირი, მწუხარება, არამედ სიხარულია და ცხოვრება დაუსრულებელი, შენს საყვარელ მშობლებთან, საყვარელ ძმასთან ნოდოსთან, სანათესაოსთან და სამეზობლოსთან ერთად შეხვდები 62 წლის იუბილეს.

გული გვწყდება იმიტომ, რომ როცა უნდა გაგეხარა ლამაზ ოჯახთან, პატარა ლიკასთან, პატარა ტატოსთან და ყველასთან ერთად, უეცრად მიგვატოვე, სიკეთის მთესველო, ერთგულო, ყველას მოსიყვარულე ძვირფასო ადამიანო.

მოვა სიკვდილი უჩინო,
ერთ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად
სხვას არა წაუღია — რა“

საუკუნო ხსოვნა და სასუფეველი გქონდეს ჩვენო ოთარ, უფალი იყოს შენი სულის შემწე.

ოჯახი

გელა ფიცხელაური
ყველას გულში ალალ-მართალი, კაცური კაცის სახელი დატოვა

მას შემდეგ, რაც ის ამქვეყნიდან წავიდა, დიდი დრო გავიდა. წავიდა სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ყველას გულში ალალ-მართალი, კაცური კაცის სახელი დატოვა — ბორია ფიცხელაური, კაცი, რომელიც ბევრი კარგი თვისებით იყო დაჯილდოებული, — ამასთან ერთად მუსიკალური ნიჭით. ოჯახისა და შვილების მოსიყვარულე მამა, აი, ასეთად იცნობდნენ მას. ადვილი არ იყო სამი პატარის გაზრდა მამის გარეშე და ქალბატონმა მაყვალამ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა, ყველაფერი გააკეთა მათი სწორად აღზრდისათვის, ბევრს წვალობდა, შრომობდა, რათა შვილებისთვის არაფერი მოეკლო. ეიმედებოდა, რომ მისი შვილი გელა ფიცხელაური ერთ-ერთი იმათგანი იქნებოდა, რომელიც მამის სახელს არ შეარცხვენდა. ასეც იყო, გელამ პოლიციის დაცვაში დაიწყო მუშაობა. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. უბრალო, შრომისმოყვარე ახალგაზრდას სამეგობროც ბევრი ჰყავდა. მასთან მოხვედრა ყოველთვის სასიამოვნო იყო, უკრავდა კარგად გიტარაზე და მღეროდა, ამიტომ მისი სამეგობრო ხშირად იყრიდა თავს მასთან ერთად. ბედნიერი იყო ოჯახი და მათი შვილებიც, — გიორგი და ბერდიაც ამაყობდნენ მისით, მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ვიღაცის ქურდულად გასროლილმა ტყვიამ მუხასავით ნააქცია, ეს ჯანმაგარი და ჯანმრთელი ახალგაზრდა კაცი, თორემ მას რა მოერეოდა ტყვიის გარეშე? როგორ დასწყვიტე შენს მეზობლებსაც გული, გელა? ნეტავ წამოგახედა, ისინი შენ ცრემლების გარეშე არასოდეს არ გიხსენებენ. გჯეროდეს, ახლა შენი შვილები გააგრძელებენ ცხოვრებას ისე, როგორც შენ გიყვარდა და მოგწონდა, მათ უკვე იციან, როგორ, რა თვისებებით უნდა იცხოვრო კაცმა ამ ქვეყანაზე, რომ კარგი სახელი დატოვო. ჩვენ, შენი სამეგობრო, ყოველთვის ყურადღებით ვიქნებით შენი შვილების მიმართ და არასოდეს დაგივიწყებთ. 18 მაისს, შენს დაბადების დღეს, ერთხელ კიდევ შევსვით შენი შესანდობარი. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს სამუდამო სასუფეველს.

მეგობრების სახელით
ედიკა შაშიაშვილი, ბეგი ცირიკაშვილი, ილია ბეროშვილი

კუნძული, სადაც განსაკუთრებით საშიშ პატიმრებს გზავნიდნენ

სუფთა გამჭირვალე წყალი, თეთრი ქვიშა, პალმის ხეები, ენდემური მცენარეები და გადაშენების პირას მყოფი ცხოველები... პანამის წყნაროკეანურ სანაპიროზე მდებარე კოიბას უკაცრიელ კუნძულზე ჩასული დამსვენებელი ვერც კი იფიქრებს, რომ აღნიშნული ადგილი საიდუმლო წარსულს მალავს.

1919 წელს ამ კუნძულზე გამოსასწორებელი კოლონა აშენდა და ამ დროიდან ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ადგილად გადაიქცა. ციხეში საშიშ დამნაშავეებსა და პოლიტიკურ პატიმრებს გზავნიდნენ. ადგილი ცნობილი იყო უკიდურესად ცუდი პირობებით, ადამიანების წამებისა და მკვლელობის ფაქტებით.

ციხის გაძლიერებული დაცვისთვის თავი რომ დაეღწიათ, პატიმრებს კუნძულზე გავრცელებული შხამიანი გველებისა და მწერებისგან გადარჩენა გაუჭირდებოდათ, თან ტყიდან გამოსულებს წინ ზვიგენებით სავსე ოკეანე შეხვდებოდათ. ალბათ, სწორედ ამიტომ უწოდებდნენ აქ მყოფ პატიმრებს გაუჩინარებულებს.

ამ დრომდე უცნობია, ზუსტად რამდენი მსჯავრდებულის სიცოცხლე შეეწირა ციხეში არსებულ გაუსაძლის პირობებს, თუმცა ადგილობრივების თქმით, ციხეში სამასზე მეტი პატიმარი მოკვდა.

სასჯელაღსრულების დაწესებულება 2004 წელს დაიხურა, თუმცა მასთან დაკავშირებული ისტორიები ადამიანებს ჯერ კიდევ აშინებს. მოსახლეობის თქმით, ციხეზე მიმაგრებულმა დაცვამ თავიც კი მოიკლა. კუნძულმა ეროვნული პარკის სტატუსი 1992 წელს მიიღო, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი კი 2005 წლიდან გახდა.

ამჟამად კუნძული დაუსახლებელია, მის უდიდეს ნაწილს ტროპიკული ტყეები შეადგენს. კუნძული უკანასკნელი სახლია გადაშენების პირას მყოფი ძუძუმწოვრებისთვის, ქვეწარმავლებისა და ფრინველებისთვის. ეს ადგილი, ხშირ შემთხვევაში, მკვლევარებს იზიდავს.

კუნძული, რომლის შესახებაც თითქმის არავინ იცის.

ALLNEWS.GE

თამარ ბალიაშვილის მონატრება

სამი თვე გავიდა, რაც დაგვტოვე ჩვენო საყვარელო დედა. შენ მშრომელი, მზრუნველი და უსაზღვროდ კეთილი იყავი. შენში უძლეველ ძალას ვხედავდით, ასე გვეგონა არ დაბერდებოდი და მუდამ გვეყოლებოდი.

ხუთი შვილი გაგვზარდე, გვასწავლე და დაგვაბინავე. ყველას გვჭირდებოდი და შენც ყველგან და ყველასთან იყავი, გვიკვირდა ამდენს როგორ ასწრებდი, ახლაც გვჭირდება შენი დედაშვილური სიყვარული.

შვილები ერთმანეთთან მჭირდოდ დაგვაკავშირე, მალამოდ ედებოდი ჩვენს გულებს და მომავლის იმედს გვინერგავდი. რაც დრო გადის, უშენობა უფრო გვიჭირს, დედა. მოსაგონარი ბევრი დაგვიტოვე, ჩვენო საყვარელო დედა, რომლის დავიწყებაც არ შეგვიძლია სანამ ცოცხლები ვართ. მაისის თვეში ხართ დაბადებული შენც და მამაც. მამას უკვე 12 მაისი მივულოცეთ. 15 წელი გავიდა რაც მამა აღარ გვყავს.

30 მაისი შენი დაბადების დღეა, დედა, შევიკრიფებით თქვენს საფლავზე შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რძლები, სიძეები. ჩვენი მოტანილი ვარდები, ალალი ცრემლები, იქ ანთებული სანთლები საჩუქრად მიიღეთ დედა და მამა, თქვენს შვილებს გვჯერა, რომ თქვენი ნათელი სული თავს დაგვტრიალებს და გვიცავს ყოველგვარი ბოროტებისაგან.

ჩვენ კი თქვენი შვილები და შვილიშვილები, სანამ ცოცხლები ვართ არ მოგაკლებთ წმინდა სანთლებს და აქ ვილოცებთ თქვენთვის, რომ ცოტათი მაინც შეგიმსუბუქოთ შრომით და ჩვენზე ზრუნვით დაღლილი სული.

შვილები,
შვილიშვილები

— გამგეობის სამსახურები მკაცრ კონტროლს გაუწევენ ყველა ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს, რათა დაცული იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ვადები, რათქმა უნდა, საბოლოო შეფასებისათვის შესრულების ხარისხი და იქნება განმსაზღვრელი.

— ქალაქი ყვარელი ყვარლის მუნიციპალიტეტისათვის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს, სადაც ვიზიტორთა მნიშვნელოვნად გაზრდილი რაოდენობა მობრძანდებიან და ღირსშესანიშნაობებს სტუმრობენ. ხომ არ იჩაგრება ჩვენი ქალაქი, თუ არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც კიდევ უფრო დაამშვენებენ მის იერ-სახეს?

— ჩვენი მცდელობით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგვაფინანსეს ილია ჭავჭავაძისა

სოფლის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამით ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში უამრავი პრობლემა მოგვარდება

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

სოფელ შაქრიანში

1. საბავშვო ბაღის შენობის რემონტი — 5339 ლარი;

2. მილხიდების მოწყობა — 4 000 ლარი;

3. სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა — 5000 ლარი;

სოფელ ენისელში

1. სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია — 33983 ლარი.

სოფელ კუჭატანში

1. კლუბის შენობის რემონტი — 10 000 ლარი;

2. მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა — 6126 ლარი.

სოფელი სანავარდო

1. სკვერის ღობის მიწყობა — 20726 ლარი;

2. გარე განათების მოწყობა — 5000 ლარი

სოფელი წიწკანაანთსერი

1. საბავშვო ბაღის შენობის რემონტი — 15 828 ლარი.

სოფელი მთისძირი

1. საბავშვო ბაღის შენობის რემონტი — 24 213 ლარი

სოფელი ალმატი

1. სარწყავი სისტემის არხის მოწყობა — 12 376 ლარი;

2. გარე განათების მოწყობა — 4 000 ლარი.

სოფელი საბუე

1. გორის პირა უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა და მიმდებარე გზის რეაბილიტაცია — 22 814 ლარი;

2. სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია — 4 000 ლარი;

3. გარე განათების მოწყობა — 5 000 ლარი.

სოფელი შილდა

1. კულტურის სახლის რეაბილიტაცია — 78 448 ლარი.

სოფ. ზინობიანი

1. შიდა გზების რეაბილიტაცია — 9027 ლარი.

სოფ. ჩანტლისყურე

1. სასმელი წყლის რეზერვუარის და სადაწნევო კოშკის მოწყობა — 9277 ლარი.

სოფელი ჭიკაანი

1. სასმელი წყლის რეზერვუარის და სადაწნევო კოშკის მოწყობა — 15 000 ლარი;

2. სასმელი წყლის ქსელისათვის მილების შეძენა — 1300 ლარი;

3. სკვერის კეთილმოწყობა — 20006 ლარი.

— რა ღონისძიებებს გაატარებთ იმისათვის, რომ ობიექტებზე სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდეს ხარისხიანად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში?

და რაჭის ქუჩის მოასფალტების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელთა ხარჯთაღრიცხვა 850 ათას ლარს შეადგენს.

ასევე გამოგვიყვეს „შინმოუსვლელთა“ სკვერის კეთილმოწყობისათვის 700 ათასი ლარი, ხოლო 300 ათასი ლარი საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის „ბოგირის“ მიმდებარე ტერიტორიაზე.

ამავე ფონდის დახმარებით სოფ. ენისელში მოხდება სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია, ხოლო სოფ. ალმატში მინი სპორტული მოედანი და სკვერი მოეწყობა.

შილდის საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში უკვე მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

ბატონო ილია, დარწმუნებული ვარ თქვენს მიერ ჩამოთვლილი პროექტები უხარვეზოდ განხორციელდება, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების პირობებს კიდევ უფრო გაუმჯობესებს. გმადლობთ გულახდილი საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

ანსამბლი „ხეურო“ რესპუბლიკური ფესტივალის გამარჯვებულია

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული ხალხური სიმღერის რესპუბლიკური ფესტივალი-კონკურსი სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ყველა კუთხის და ქალაქის ფოლკლორული ანსამბლები. მათ შორის ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ,2011 წელს ბათუმში გამართული საერთაშორისო ფესტივალის გრანპრის და არაერთი კონკურსის გამარჯვებული, ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „ხეურო“, ხელმძღვანელი: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ირაკლი მათიკაშვილი.

ამჯერადაც წარმატებული იყო ანსამბლ „ხეუროს“ გამოსვლა, რომელმაც ამ კონკურსზე, კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია პირველი ადგილის, შესაბამისად ოქროს მედლის მფლობელი-საქართველოს საპატრიარქოს მომღერალთა გუნდი, რომელიც ჩამოყალიბებულია პროფესიონალი მომღერლებისგან. მათთან ერთად ამ ფესტივალში მონაწილეობა ასეთი შედეგით, უდავოდ საამაყოა.

ვულოცავთ ანსამბლ „ხეუროს“ და მის ხელმძღვანელს კიდევ ერთ წარმატებას.

ია გიგიაშვილი

მსოფლიოში ყველაზე ღრმა გამოქვაბული საქართველოში მდებარეობს

კრუბერის გამოქვაბული დედამიწაზე დღემდე აღმოჩენილ გამოქვაბულთაგან ყველაზე ღრმაა. მისი სიღრმე 2190 მეტრია. იგი აფხაზეთში, არაბიკის მასივში მდებარეობს. გამოქვაბულს სახელი რუსული და საბჭოთა კარსტოლოგიის ფუძემდებლის, ალექსანდრე კრუბერის პატივსაცემად ეწოდა.

პირველად გამოქვაბული ქართველმა სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს 1960 წელს და 95 მეტრამდე გამოიკვლიეს. მეორედ კრუბერი კრასნოიარსკის სპელეოლოგებმა 1968 წელს მოინახულეს და უკვე 210 მეტრზე გამოიკვლიეს. შემდგომი ექსპედიციები სულ უფრო ღრმად ჩადიოდნენ მიწის ქვეშ და ახალ სიღრმეებს აღწევდნენ. 2007 წლისთვის რეკორდი უკრაინელმა სპელეოლოგმა დაამყარა, რომელმაც 2191 მეტრის სიღრმეზე შეძლო ჩასვლა. რაც შეეხება ქალბატონებს, პირველი რეკორდსმენი ქალი გახლდათ ლიტველი საულე პენკენე (2140 მეტრი).

მღვიმეში გვხვდება მინიატურული სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ფარდები, ადგილობრივი წარმოშობის ნგრეული

და გამოფიტვის მასალა. გარდა ამისა, გამოქვაბულში არის წყლის ნაკადები და პატარა ტბები. აღსანიშნავია, რომ მისი წყლებით მდინარე რეპრუა საზრდოობს.

სპორტულ ასპარეზობებზე

ზურაბ იაკობიშვილმა ოლიმპიადაზე გამოსვლის ლიცენზია მოიპოვა

13-17 აპრილს სერბეთის ქალაქ ზრეჟნანინში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად, სადაც მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის, თურქეთის, სლოვენიის, ბულგარეთის, საქართველოს და ევროპის სხვა ქვეყნების მოჭიდავეები. ლიცენზიის მოსაპოვებლად კი საჭირო იყო ფინალში გასვლა. ტურნირში საქართველოდან 65 კგ. წონით კატეგორიაში მონაწილეობას იღებდა ყვარლელი ზურაბ იაკობიშვილი (24 წლის, საქართველოს ნაკრების წევრი), რომელმაც პირველი შეხვედრა ჩაატარა გერმანიის წარმომადგენელთან და მოუგო ანგარიშით 6:5, მეორე შეხვედრა მოუგო თურქეთის წარმომადგენელს და მოიპოვა გამარჯვება. მესამე შეხვედრა კი ჰქონდა უკრაინის წარმომადგენელთან და ეს შეხვედრა დათმო 3:2 — ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და დასჯერდა მესამე ადგილს. ამ შემთხვევაში ჩვენს მოჭიდავეს 1 შეხვედრის მოგება დააკლდა ლიცენზიის მოსაპოვებლად.

23-25 აპრილს მონღოლეთის ქალაქ ულანბატორში ჩატარდა ასეთივე სახის მსოფლიო ქვეყნების საერთაშორისო ტურნირი, სადაც კვლავ მონაწილეობას იღებდა სპორტსმენი ზურაბ იაკობიშვილი. აღსანიშნავია, რომ პირველი შეხვედრა მოუგო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონს საფარიანს, მეორე შეხვედრა საფრანგეთის წარმომადგენელს, მესამე კი ბულგარეთის წარმომადგენელს და გავიდა ფინალში. ეს კი საკმარისი იყო ლიცენზიის მოსაპოვებლად. თავისთავად ჩვენი მოჭიდავე უკვე მოხვდა ოლიმპიურ ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებს ბრაზილიის დედაქალაქ რიოდეჟანეიროში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც ჩატარდება მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ყვარლელმა მოჭიდავემ მოიპოვა ლიცენზია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის. იმედია, იგი კარგად მომზადებული შეხვდება რიოდეჟანეიროში გამართულ ოლიმპიურ თამაშებს და ასახელებს თავის ქვეყანასა და მშობლიურ რაიონს. (მწვრთნელები გივი მეტრეველი, ვანო ჭანტურიძე, მალხაზ როზომაშვილი).

დალი ტატულიშვილი

გიორგი ლაფერაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა

მიმდინარე წლის 12-15 მაისს, ქ. გორში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი კანდელაკის სახელობის მერვე საერთაშორისო ტურნირი კრივში.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სასომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსიის, უკრაინის და (რუსეთის ფედერაციის ოთხი ნაკრები) გუნდები.

ბრწყინვალედ იასპარეზა ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა გიორგი ლაფერაშვილმა 52 კგ. წონით კატეგორიაში, დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. მწვრთნელები: ფარნაოზ მაისურაძე, ზურაბ ტოსტიაშვილი.

ევერესტი დედამიწის ყველაზე მაღალი მწვერვალი აღარ არის

ევერესტი მსოფლიოს ყველაზე მაღალ მწვერვალად აღარ მიიჩნევა.

როგორც Daily Mail-ი იუწყება, დედამიწის ყველაზე მაღალი მწვერვალი ეკვადორში მდებარე ვულკანი ჩიმბორასოა.

ვულკანი ჩიმბორასო, რომელიც უკანასკნელად ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასლწლეულში ამოიფრქვა, მსოფლიოს ყველაზე მაღალ მწვერვალად XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე ითვლებოდა.

თუმცა, 1852 წელს ინდოელმა მათემატიკოსმა და ტოპოგრაფმა რადჰანატ სიკდარმა ტრიგონომეტრიული გათვლების საფუძველზე დაადგინა, რომ ევერესტი დედამიწის ყველაზე მაღალი მწვერვალია.

ყველაფერი ასეც დარჩებოდა, რომ არა მასმედია, რომელმაც გადაწყვიტა XIX საუკუნის დასაწყისს დაუბრუნდეს და ისევ გამოაცხადოს ჩიმბორასო ყველაზე მაღალ მწვერვალად.

გამოცემები ფრანგი მეცნიერების განცხადებებს ეყრდნობიან, რომელთა თქმითაც, ჩიმბორასო დედამიწის ზედაპირიდან ყველაზე დაშორებული წერტილია — შესაბამისად, ჩამქრალი ვულკანი ევერესტზე მაღალია.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შეესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86